პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.-
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ
№ 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 6—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ფულის მიწერის ერთთვიური ფასი საქართველოში 450.000 მ. განცხადება 10 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 3 მ.

№ 111 პარასკევი 18 მაისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 40,000 მან. № 111

დღიური

ინგლისის ნოტის და რუსეთის პასუხის გარჩევამ თემთა პალატაში გააერთიანა ოპოზიციის ყველა ჯგუფები, რომლებიც მთავრობის განცხადებას სთვლიან დაუკმაყოფილებლად.

ამხ. ვოროვსკის მოკვლამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ევროპაში. განსაკუთრებით ამ აქტს დიდ ყურადღებას აქცევს იტალია.

კომინტერნმა და პროფინტერნმა მთელი ქვეყნის მუშებს მიმართეს მოწოდებით ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა 18 მაისს

ერთიან პარტიულ დღეს

1) პირველ საკითხად დასმულ იქნეს დღის წესრიგში: **კერზონის ნოტის და ამხ. ლიტვინოვის პასუხის განხილვა.**

2) მეორე საკითხად: „**რ. კ. პ. მე-XII ყრილობის რეზოლიუციების გარჩევა**“.

მასალებად გამოყენებული უნდა იქნეს ინგლისის მთავრობის მემორანდუმი და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხი, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“.

მეორე საკითხის მასალის მიღება შეიძლება თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგიერ: **რუბენი.**

ტერიტორიალური წყლების საერთაშორისო უფლებრივი თეორია და ინგლისის პრაქტიკა

თავის მრავალრიცხოვან ნოტებში მურმანის ნაპირებთან ტერიტორიალური წყლებისათვის 12 მილიანი ზონის დაწესების გამო ინგლისის მთავრობა სთვლის ამ ნაბიჯს უკანონოთ, მისი აზრით ეს ვითომცდა ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლების ნორმებს.

ადასტურებს თუ არა ამ შეხედულებას საერთაშორისო უფლების თანამედროვე თეორია და პრაქტიკა? თუ არა, მაშინ ინგლისის მიერ საკითხის ასე მწვავედ დაყენება გვიჩვენებს, რომ საქმე მდგომარეობს არა ინგლისის მეთევზეებში, რომლებიც უბრალო შირმათ არიან მოყვანილი, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებისადმი მტრულ განწყობილებაში.

ტერიტორიალური წყლების თანამედროვე თეორიის მიხედვით საკმაოთ მიაჩნიათ ტერიტორიალური წყლების სამი მილით განსაზღვრა.

მიუხედავათ ამისა, ტერიტორიალური წყლების სამი მილით განსაზღვრა **არ არის საყოველთაოდ მიღებული და სავალდებულო**.

ამ განსაზღვრას საფუძვლათ დაედო სახელმწიფოს მხრივ ტერიტორიალური წყლების დაცვის ფაქტიური შესაძლებლობა, სამი მილი არის მანძილი, რომელსაც სწვდება ზარბაზნის ყუმბარა.

მაგრამ დიდი ხანია, ახლა კი მით უფრო, ნათელი გახდა ასეთი ანგარიშის სიძველე და ჩამორჩენილობა. ჯერ კიდევ 1894 წელს საერთაშორისო უფლების ინსტიტუტმა საჭიროდ აღიარა 3 მილის მაგიერ 6 მილიანი ზონის შემოღება. საბაჟო ინტერესების დასაცავად რუსეთის კანონმა 1909 წლის 10 დეკემბერს და იტალიის კანონმა (ტრიპოლის შესახებ) 1913 წლის 4 თებერვალს დააწესა 12 მილ. ზონა. საფრანგეთში 1912 წლის 18 ოქტომბრის დეკრეტი ტერიტორიალური წყლების ზონას აფართოებს 6 მილამდი. სხვა მრავალ სახელმწიფოებში წესდება სხვადასხვაგვარი ზონა; 6—9—10 მილი.

ამრიგად ზემონათქვამიდან ნათელი ხდება, რომ ჯერ ერთი ტერიტორიალური წყლების თანამედროვე თეორია არ შეიცავს ტერიტორიალური წყლების ზონის უსათუოდ ზარბაზნის გასროლის მანძილის მიხედვით განსაზღვრას და მეორე ის, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მიხედვით მიღებულია ტერიტორიალური წყლების სხვადასხვა ზონა.

ამ მდგომარეობის გამო, ინგლისის მოთხოვნილება მურმანის წყლებში 12-ის მაგიერ სამ მილიანი ზონის დაწესების შესახებ, სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

დასასრულ ინტერეს მოკლებული არ აქნება მოყვანა თვით ინგლისის პრაქტიკის მაგალითისა, რომელიც ვითომცდა იცავს შებღალულ „საერთაშორისო ელემენტარულ უფლებას“. თუმცა ინგლისის 1878 წლის კანონი საზღვრავს ინგლისის ადმინისტრაციის სანაპირო იურისდიქციას სამი მილით, მაგრამ პრაქტიკაზე ბევრჯერ ქონია ადგილი ამ დადგენილებისათვის გვერდის ახვევას. თვით ამ კანონში აღნიშნულია, რომ ეს ზოგიერთ შემთხვევებში დასაშვებია. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია მაგალითი, რომელზედაც თავის ნოტაში მიუთითებს ამხ. ლიტვინოვი,—ეს არის კუნძული ცეილონი, სადაც ტერიტორიალური წყლების მანძილი ისაზღვრება 6-დან 25 მილამდე.

ამ რიგად, „ყოველმხრივ გაუმართლებელი ჩარევა ინგლისის გემების მიმოსვლაში“, რომელზედაც ლაპარაკობს ინგლისის აგენტი მოსკოვში ბ. ხოჯსონი, ნამდვილად წარმოადგენს ინგლისის ჩარევას რუსეთის საქმეებში, მეტს არაფერს. „უფლებას, რომელიც გამოაცხადა რუსეთის მთავრობამ 1921 წლის 24 მაისის დეკრეტით და რომელიც მდგომარეობს ტერიტორიალური წყლების მანძილის თავის ნებით 12 მილამდი გადიდებაში, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს ინგლისი“, ასე განაგრძობს მ. ხოჯსონი... ინგლისის ყოველმხრივ გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი ჩარევა რესპუბლიკის შინაურ საქმეებში, განსაკუთრებით კი ისეთ საქმეებში, რომელიც ეხება რესპუბლიკის მილიონ მშრომელებს, რომელთათვის რუსეთის ჩრდილოეთ ნაწილის სათევზო ადგილები არსებობის ერთ ერთი წყაროა,—წარმოადგენს რესპუბლიკის სუვერენიტეტის ტლანქ დარღვევას და ამას ერთი წუთითაც არ დაუშვებს საბჭოთა მთავრობა.

ე. ბ.

მიწის საკითხი აჭარისტანში

(მიწა და აჭარელი).

აჭარელმა გლეხმა პროლეტარული რევოლიუცია გაიგო, როგორც მიწის რევოლიუცია, ისე, როგორც მუშას რევოლიუცია მიაჩნია, ასე ვთქვათ, ქარხნების რევოლიუციათ: მუშის განსაკუთრებული სურვილია ხელთ იგდოს ქარხანა, სადაც ის თავის შრომას ხარჯავს, გლეხისა კი—გაბატონდეს მიწაზე, რომელსაც ის თავის ოფლით აპოხიერებს. მუშათა და გლეხთა მასების მიერ პროლეტარული რევოლიუციის ფართო მიზნების შეთვისება რომ უპირველესად ხდება ამ გზით—ეს აშკარაა.

1921 წლის 18 მარტიდან, ე. ი. აჭარისტანის გასაბჭოების დღიდან, გადაჭრა მიწის საკითხისა აჭარისტანში, რაც თავდაპირველად აინტერესებს გლეხს—აჭარელს, არ იდგა სასურველ დონეზე,—აჭარელი მიწის მხრივ სრულებით არ იყო დაკმაყოფილებული 1923 წ. დასაწყისამდე. ამის მიზეზები მრავალია.

მე არ შევეხები ამ მიზეზების განხილვას, მხოლოდ ვიტყვი, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია საბჭოთა ხელისუფლება და ხელმძღვანელია კომუნისტური პარტია, ასეთი უმოქმედება ამ ორი წლის განმავლობაში დიდ დეფექტათ უნდა ჩაითვალოს. სავსებით მართალია ის აჭარელი, რომელიც აჭარისტანის გასაბჭოების მე-7 თვეში აჭარაში მომხდარ ერთ დიდ რევოლიუციონურ ყრილობაზე ამბობდა:

„სულთანების დროს აჭარაში გაბატონებულნი იყვენ ბეგები, ცარიზმის დროს—ისევ ისინი. ჩვენი მიწები ჩვენგან ჩამორთმეული გადაცემული იყო ბეგებზე და აღებზე; ისინი იყვენ ბატონები—ჩვენ კი მონები. 1917 წ. რუსეთში მომხდარ დიდი რევოლიუციის შემდეგ ჩვენ თურქ-ფაშების ხელში ჩავვარდით: აჭარისტანის ბეგები და აღები, რომელნიც უბრალო ჩინოვნიკები და ურიადნიკები იყვენ, ფაშებათ გადაიქცენ და უფრო გაბატონდენ. ამის შემდეგ გვეწვიენ ინგლისელები და დანიკინელები და კიდევ ძველებურათ დავრჩით; ამათ მოჰყვა მენშევიკების ბატონობა და ამ დროს აჭარისტანის ბეგები კიდევ უფრო ამაღლდენ: სტრაჟნიკ-ურიადნიკებიდან ერთბაშათ ღენერლებათ გახდენ. ეს მაშინ, როდესაც ჩვენ მენშევიკებს მივენდეთ და ვეხმარებოდით, როგორც რევოლიუციონურ ძალას და ხელისუფლებას. ამის შემდეგ „ბოლშევიკობა მოხდა“. ამოვისუნთქეთ იმედებით ავივსეთ... მაგრამ ეხლა ვხედავთ, რომ არც აქედან მოგვეღის არაფერი: ჯერ სიუზერენი ბეკ-აბაშიძეები, გაბატონებულნი აჭარისტანის მეჯლისში და რევკომებში კი ამათი ვასალები. შემდეგ სიუზერენ ბეკ-ხიმშიაშვილები, გაბატონებულნი არიან მეჯლისში, რევკომებში კი—მათი ვასალები; ისევ მათ ხელში და იმავე მდგომარეობაში ვართ. ალბათ ჩვენი ბედ-იღბალი ასეთი ყოფილა და რაღა ან ვისი იმედი უნდა ვიქონიოთ? ვის მოვსთხოვოთ ჩვენ მიწა-წყალი და თავისუფლება“.

ამ ყრილობის შემდეგ აჭარისტანში ფართო ხასიათს იღებს ფუხარათა მოძრაობა და 1921 წლის 7 ნოემბერს ქ. ბათომში ხდება ფუხარათა პირველი ყრილობა, რომელსაც ესწრება 300 დელეგატი. ხუთი დღე გასტანა ამ ყრილობამ და უმთავრესს საკითხს და მსჯელობის საგანს შეადგენდა მიწის საკითხი; დელეგატებში გაისმოდა: „მიწა—მიწა“-ო.

10 იანვარს 1922 წ. აჭარისტანის საბჭოების პირველ ყრილობაზე ისევ ისე გლეხის დელეგატები უმთავრესად მიწის საკითხით იყვნენ დაინტერესებული, მოითხოვდენ მიწას, მისი განაწილებას და სხვა რეფორმებს, მაგრამ გამოტანილი დადგენილებები, რეზოლიუციები და სხვა ქაღალდზე დარჩა და ფაქტიურად კი არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ჩამორთმეული იქნა, მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელო მიწები, მაგრამ ისიც არ იყო დარიგებული გლეხებზე და ზედ მომუშავენი იჯარას იხდიდენ ბეგების, აღების და მემამულეების სასარგებლოთ. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევდა გლეხთა შორის და ხელს უშლიდა მუშებისა და გლეხების შორის სოლიდარობის დამყარებას და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

თუ რამდენათ მნიშვნელოვანია მიწის საკითხი აჭარაში—ამაზედ შეიძლება ბევრი რამ ითქვას.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში აჭარისტანიდან თანდათან გადასახლებულია მრავალი აჭარლები მიწის უქონლობის ან სიმცირის გამო. ამ ჟამად ანატოლიაში არის 250,000 სული აჭარელი.

ასეთი ემიგრაცია არ არის გამოწვეული განსაკუთრებით იმპერიალისტური ომებით, არამედ უმთავრესად გამოწვეულია ეკონომიური მდგომარეობით—მიწის უქონლობით; ემიგრაცია ხდებოდა სისტემატიურათ.

აჭარაში მხოლოდ 20 პროც. აქვს სამყოფი მიწა, დანარჩენი 80 პროც. არიან სრულიად უმიწონი ან მცირეს მქონენი. აქ ცოტაა ისეთი მოსახლე, რომელიც დღე და ღამე არ ფიქრობდეს იმაზედ, თუ სად გადასახლდეს, რომ საკმაოთ მიწა ჰქონდეს დასამუშავებლათ.

აჭარლების შორის მომხდარ ბოროტმოქმედებების და ამ ბოროტებებზე აშენებული პროცესების 95 პროც. გამომდინარეობს მიწა-წყლის ნიადაგზე დავიდან.

ხშირია მოვლენა, როდესაც პატარა ნაჭერი მიწისათვის ძმა ძმას სასიკვდილოთ იმეტებს, თოფს ესვრის.

ოსმალეთის სულთანებმა და რუსეთის მეფეებმა აჭარის გლეხის მიწა ბეგებს გადასცეს და გლეხები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამიტომ აჭარლების საბჭოთა ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა იყო, დაენგრია ეს წეს-წყობილება, ჩამოერთვა მიწები ფეოდალებისაგან და გადაეცა გლეხებისათვის.

შეუძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება რომელიმე სხვა დარგში მაშინ, როდესაც მიწის საკითხი მოუგვარებელი რჩებოდა.

ამიტომ იყო, რომ 1922 წლის დეკემბერში მოწვეული აჭარისტანის საბჭოთა მეორე და 1923 წ. იანვარში—მესამე ყრილობამ დიდი საყვედური გამოსთქვა ამის გამო, გამოიტანა შესაფერი გადაჭრით რეზოლიუცია მიწის საკითხის მოწესრიგების შესახებ და მოითხოვა ყველა დეფექტების გამოსწორება. მაგრამ ზამთრის თვეებმა ხელი შეუშალა მიწის განწესრიგების საქმეს, მხოლოდ მარტ-აპრილში აჭარისტანში ჩამორთმეულია 9875 დესეტინა. ამ მიწებიდან 3000 დესეტინა საბალახო ადგილებია და 2000 დესეტინა კა—ტყე, რომელთა უმეტესი ნაწილი ჩამოერთვა ხიმშიაშვილებს. ხოლო 4000 დესეტინა სახნავ-სათესი მიწები კი უმეტესად აბაშიძეებისაგანაა ჩამორთმეული. 875 დესეტინა კულტურული მამულებია, სადაც მისდევენ უმაღლესი კულტურას. ეს 4000 დეს. მიწა უმთავრესად ბათომის და ქობულეთის მაზრებშია ჩამორთმეული და აქედან 2000 დესეტინა უკვე დარიგებულია გლეხზე ნორმის მიხედვით. რაც შეეხება დანარჩენ 2000 დეს., ის მიღებულია აჭარისტანის მიწ. მოქ. კომისარიატის მიერ ჩაის პლანტაციის გასაშენებლათ, მაგრამ წელს გლეხები ამ მიწებითაც სარგებლობენ, სანამ ჩაის კულტურის გაშენება დაიწყებოდეს. რაც შეეხება კულტურულ ადგილებს—ასეთები არის მიწ. მოქ. განკარგულებაში და იცემა იჯარით ადგილობრივ გლეხებზე კულტურული სამუშაოებისათვის. ამ ჟამად მიწების ჩამორთმევა და დარიგება პრაქტიკულად ნაყოფიერად მიდის. 20 პროც. აჭარის გლეხებისა, ისინი, რომელნიც რეგისტრაციაში გატარების შემდეგ სრულიად უმიწონი ან მცირეოდენის მქონენი აღმოჩნდენ, დაკმაყოფილებული არიან მიწით, მხოლოდ რაც შეეხება 80 პროც. გლეხობისას, აქედან ჩვენ შეგვეძლება დავაკმაყოფილოთ 30 პროც. დანარჩენი 50 პროც. დაკმაყოფილება აჭარისტანის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა იმათ მიეცეს შესაფერი მიწები ამიერ-კავკასიის ერთ-ერთ კუთხეში საცხოვრებლათ.

მიწების ჩამორთმევა და დარიგება სწარმოებს განუწყვეტლივ და ენკენისთვეში მუშაობა ამ მხრივ დამთავრდება. გლეხები მუშაობაში ღებულობენ მხურვალე მონაწილეობას, ყველგან დაარსებულია მიწკომები რომელთა საშვალებით ხდება ჩამორთმევა და განაწილება მიწებისა.

სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენს სურათი, თუ რა აღფრთოვანებით ხვდება გლეხები რეფორმის გატარებას. აჭარისტანში დარჩენილ ფეოდალური წესწყობილების წარმომადგენლებისაგან მიწის ჩამორთმევა, იმ მიწის, რომელიც მათი არსებობის წყაროს შეადგენდა, იწვევს არა მარტო კმაყოფილებას გლეხობისას, ის ხელს უწყობს გლეხებისა და მუშების შორის სოლიდარობას, გლეხებისა და მუშურ გლეხური ხელისუფლების შორის კავშირის განმტკიცებას.

მაგრამ მიწის ჩამორთმევითა და მისი განაწილებით არ ამოიწურება მთელი საკითხი. არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი მიწის სოციალიზაციისაკენ. საჭიროა ამას გარდა გლეხს აღმოეჩინოს ყოველგვარი საშუალება მიწის დასამუშავებლათ და გამოსაყენებლათ. რადგან აჭარისტანში მეტათ მთიანი ადგილებია და სათესსათოხნე მიწები ცოტაა, ამიტომ საჭიროა აგრონომიის გამოყენება, რათა ვიწრო მიწებიდან რაც შეიძლება ფართო სარგებლობა ამოვიღოთ, ამ საქმის მოგვარება დავალებული აქვს მიწ. მოქ. კომისარიატს

ვინაიდან აჭარისტანში არის ხელსაყრელი პირობები უმაღლესი კულტურისათვის, ამიტომ განზრახულია ამ მიმართულებით მუშაობა, ასეთი კულტურის გაშენება და გაჩაღება.

ამ ჟამად აჭარისტანის მ. მოქ. კომ. პროგრამა ზემო მოყვანილ პრინციპებიდან გამომდინარეობს და მისი მუშაობა დამყარებულია წინასწარ შემუშავებულ სწორ გეგმაზე.

თ. ხიმშიაშვილი.

ბავშვების პირველი დღესასწაული საქართველოში

20 მაისს საქართველოში პირველად იმართება საბავშვო დღესასწაული. ამ დღეს პირველად გამოვლენ ბავშვები სადემონსტრაციოთ ქუჩებში, საქართველოს მშრომელთა წინაშე, მწყობრად და იმ სიხარულით, რომელიც შედეგია ნორმალურ პირობებში მათი სწავლისა და საკუთარი ცხოვრების კოლექტიური შენებისა. ამ დღეს ისინი გამოსახავენ და დაამტკიცებენ დიდ სიყვარულს და მადლობას ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც დაუღალავათ და დიდი ენერგიით მუშაობდენ ამ ასპარეზზე.

მეორე მხრივ ისინი გაამხნევებენ და გაუორკეცებენ ძალა-ენერგიას და რწმენას ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს. ახალგაზრდა ამხანაგები დაინახავენ ბავშვებში იმ მომავალ ძალას, რომელიც თანდათან შეავსებს კომკავშირის რიგებს, მისცემს რა მათ მრავალ ახალგაზრდა ამხანაგს, აღზრდილებს ახალ პირობებში.

ამ დღესასწაულს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ის იმართება სასწავლო წლის ბოლოში, როცა ბავშვებს თავისუფლათ შეუძლიათ სთქვან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მათ შესაძლებლობა ნორმალური მეცადინეობისა და რომ ეს შესაძლებლობა მათ მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. მათ შეუძლიათ სთქვან, რომ ისინი სკოლის ნორმალური ცხოვრების დაურღვევლად პირველად ამ ათი წლის განმავლობაში მეცადინეობდნენ ასე ხანგრძლივათ და იმეცადინებენ კიდეც იქამდის, სანამ არ შეასრულებენ ამ სასწავლო წლის 100 პროც. დავალებას.

სასიხარულო იქნება ეს დღე ბავშვებისათვის, სასიხარულო უნდა იყოს იგი საბჭოთა დაწესებულებათა, პროფორგანიზაციებისა და მით უმეტეს ჩვენი პარტიისათვის.

ამ დღეს ჩვენი ბავშვობა, როგორც ერთი, ეროვნების, სქესის და წლოვანების განურჩევლად, ჩვენ პატარა რესპუბლიკაში—საქართველოში ისე იგრძნობს თავს, როგორც თავის ოჯახში.

თავის მხრივ სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობა სთხოვს ცეკას, ტფილისის კომიტეტს, ახალგაზრდა კომკავშირს, სახალხო კომისართა საბჭოს, ალმასკომს, პროფკავშირთა საბჭოს და წითელ არმიას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა ზრუნვით ჩვენ შევძელით მოგვეწყო ჩვენი ბავშვების ნორმალური ცხოვრება, რომ ეს დღე მათ მთლიანათ შესწირონ ბავშვებს, ნახონ დილით ბავშვების დემონსტრაცია, გაამხნევონ ისინი გულწრფელი მისალმებით, ხოლო საღამოთი კი ინახულონ ისინი სკოლებში, საბავშვო სახლებში, სადაც ბავშვების მიერ გამართული იქნება ლიტერატურული საღამოები და სხვა გასართობები, რომელიც იქნებიან ბავშვების ყველა მიღწევათა მაჩვენებელი.

მეტი ყურადღება, ზრუნვა და სიყვარული ჩვენს ბავშვებს, ჩვენს მომავალს, ჩვენს ახალ თაობას.

ყველა ბავშვების დღესასწაულზე. ყველა ბავშვებთან სტუმრათ.

მარიამ ორახელაშვილი.

ინგლისის ნოტის გარშემო

კამათი რუსეთის პასუხის შესახებ ინგლისის პარლამენტში

ინგლისის მთავრობის განცხადება

ლონდონი, 15 მაისი. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკ-ნეილმა მოკდონალდის შეკითხვაზე მთავრობის სახელით განაცხადა, რომ მიუხედავათ სავაჭრო ხელშეკრულებისა, რუსეთი განაგრძობდა პროპაგანდას ინგლისის წინააღმდეგ. მაკ-ნეილი ამტკიცებდა, რომ ინგლისის ნოტაში მოყვანილი ფაქტები სწორია. რუსეთის პასუხს ამ საკითხის გამო ინგლისის მთავრობა არადამაკმაყოფილებლად სთვლის. რუსეთის პასუხი ტრალერების შესახებ,—სთქვა მაკ-ნეილმა,—უფრო დამაკმაყოფილებელია, თუმცა ნოტაში არაფერია ნათქვამი კომპენსაციების შესახებ. პასუხი ინგლისის დაზარალებულ მოქალაქეთა შესახებ არ არის დამაკმაყოფილებელი, შემდეგ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ ინგლისის შემდეგი პოლიტიკა არ იქნება აშენებული სარწმუნოების დევნის საკითხზე. ინგლისის მთავრობას არ აქვს განზრახვა აწარმოოს ხანგრძლივი მოლაპარაკება ან მოიწვიოს კონფერენცია.

დასასრულ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ თუ ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ კრასინი მოისურვებს კერზონთან შეხვედრას, უკანასკნელი სიამოვნებით შეხვდება მას და დაუმტკიცებს ინგლისის მოთხოვნილებების საფუძვლიანობას. თუ კერზონთან მოლაპარაკების შემდეგ კრასინი მოისურვებს მოსკოვის შეკითხვას, მას მიეცემა ამის საშვალება, მაგრამ რუსეთის პასუხისათვის დანიშნული იქნება გარკვეული ვადა.

ოპოზიციის გამოსვლა.

მაკ-ნეილის შემდეგ გამოვიდნენ ლოიდ-ჯორჯი, ასკვიტი და მაკდონალდი. ისინი მოითხოვდნენ, თუ შესაძლებელია, რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დაცვას და მასთან უფრო მეტი კავშირის დაჭერას.

მაკდონალდის სიტყვა.

მაკდონალდმა განაცხადა: „თუ დამტკიცებულია, რომ მოსკოვი ფულებით და აგენტების საშუალებით უწყობს ხელს აღმოსავლეთში რევოლიუციონურ გამოსვლებს, ინგლისს არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს ამას.

თუ მოსკოვიდან ინგლისში პროპაგანდის მიზნით იგზავნებოდა ფულები, მთავრობას სრული უფლება აქვს განაცხადოს ენერგიული პროტესტი.

სარწმუნოების დევნის შესახებ მაკდონალდმა აღნიშნა, რომ საჭიროა ფაქტების შემოწმება და განაცხადა, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონების ის მუხლები, რომლებითაც აკრძალულია სარწმუნოების სწავლება, გასაკიცხავია. შეთანხმების გაუქმება, მაკდონალდის აზრით ნიშნავს ომის განახლებას. რუსეთი კი ამ ომს აწარმოებს მთელი თავისი რევოლიუციონური გაფთრებით.

ლანსბერის განცხადება.

ლანსბერიმ განაცხადა, რომ ევროპაში არ არის არც ერთი ისეთი მთავრობა, რომელიც არ გამოიყენებს ძალას ამბოხების და აჯანყების ჩასაქრობად. საბჭოთა მთავრობა არის ერთად-ერთი ისეთი მთავრობა მსოფლიოში, რომელიც თანახმაა განიარაღებაზე და სადავო საკითხების არბიტრაჟისათვის გადაცემაზე.

სმიტის გამოსვლა.

ლიბერალი სმიტი დაჟინებით მოითხოვდა, რათა არ იქნეს დარღვეული სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან.

კენვორტის მოთხოვნილება.

კენვორტიმ მოითხოვა მთავრობისაგან დაპირება იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება კერზონს და ამხ. კრასინს შორის გაგრძელდება პარლამენტის მუშაობის შეწყვეტის მთელი ხნის განმავლობაში, რათა პარლამენტს საშუალება ექნეს შემდეგ გამოსთქვას თავისი საბოლოო აზრი.

ტრევალიანის განცხადება.

ტრევალიანმა განაცხადა, რომ მაკდონალდმა მიიღო მთავრობისაგან დაპირება იმის შესახებ, რომ უკანასკნელი არ მოითხოვს დაჟინებით ულტიმატუმის 10 დღის ვადას.

ლოიდ გრიმის გამოსვლა.

ლოიდ გრიმმა, დაამთავრა რა კამათი რუსეთის საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ დარჩა დრო ბრიტანეთის ყველა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

„მანჩესტერ გარდიენი“ კამათის შესახებ.

ლონდონი. 16 მაისი. პარლამენტში გამართულ კამათის შესახებ „მანჩესტერ გარდიენი“ სწერს: „კამათი ადასტურებს ეჭვს, რომ კერზონის ნოტა გამოწვეულია საბჭოთა მთავრობის მოსპობის სურვილით. ჩვენ ვუბრუნდებით 1919 წლის დანაშაულებრივ სისულელეს. მაკ-ნეილის მიერ რუსეთის პასუხის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ მთავრობას სურს განხეთქილება. რუსეთის პასუხი ყოველივე შესაძლებლობას იძლეოდა ულტიმატუმის უკან წაღებისათვის. მაგრამ ულტიმატუმი რჩება, თუმცაღა ვადა გაგრძელებულია. კრასინს საშვალება ექნება ითისმინოს ის, თუ კერზონი რამდენად მიზანშეწონილად სთვლის თავის მოთხოვნილებებს.

რუსეთის პასუხის შემდეგ

კავშირის გაწყვეტის საფრთხე შორს არის.

ლონდონი. 15 მაისი. „დეილი ექსპრესის“ კორესპონდენტი ანგარიშში მინისტრთა კაბინეტის გუშინდელი სხდომის შესახებ ამბობს, რომ თუმცა რუსეთის ნოტა არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ის კითხვები, რომლებიც სავსებით არ გამოურკვებია საბჭოთა მთავრობას, განხილული იქნება კრასინთან ერთად.

სადავო საკითხების განხილვის საუკეთესო საშვალება.

ლონდონი. 15 მაისი. გაზ. „დეილი ჰერალდი“ სწერს: „რუსეთის მასებმა მიიღეს საბჭოთა წყობილება, რომელიც მეტად საინტერესო ცდას წარმოადგენს. ამ ცდას უნდა მიეცეს თავისუფლება. კონფლიქტის გადაჭრის საუკეთესო საშვალებას წარმოადგენს შეთანხმების მიღწევა და სადავო საკითხების განხილვა კონფერენციაზე. ამ აზრს დაიცავს პარლამენტში მუშათა პარტია“.

ინგლისის გაზეთები კმაყოფილებით შეხვდნენ რუსეთის ნოტას.

ლონდონი. 15 მაისი. საღამოს გაზეთების ცნობით, რუსეთის ნოტამ საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია.

რუსეთის ნოტის გარშემო.

ლიფილდი. 15 მაისი. დღეს თემთა პალატაში ირჩეოდა რუსეთის საპასუხო ნოტა. ყველა წრეები აღნიშნავენ, რომ ნოტა ზომიერ კილოთი არის შედგენილი.

ამხ. კრასინი ლონდონში.

ლიფილდი. 15 მაისი. ამხ. კრასინი უკვე ლონდონში იმყოფება.

ინგლისის სარწმუნოებრივი თემები კერზონის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ლიფილდი 15 მაისი. გუშინ მაკდონალდმა და გენდერსონმა მიიღო ინგლისის სარწმუნოებრივი თემების დელეგაცია. დელეგაციამ პროტესტი განაცხადა ინგლისის მთავრობის პოლიტიკის გამო რუსეთის მიმართ. მაკდონალდმა უპასუხა დელეგაციას, რომ მუშათა პარტია სავსებით იზიარებს დელეგაციის პროტესტს.

ბონარ-ლოუ ლონდონში ბრუნდება.

ბორდო. 15 მაისი. ბონარ-ლოუ ბრუნდება ლონდონში.

კონფლიქტი აუცილებელი იქნება.

ლონდონი 14 მაისი. საბჭოთა რუსეთის პასუხი ინგლისის მთავრობის მემორანდუმზე დღეს მიიღეს ლონდონში. პოლიტიკურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი შედგენილია თავაზიან და მშვიდობიან კილოთი, ნოტაში დაცულია რუსეთის ღირსება. ლონდონის პოლიტიკური წრეები საბჭოთა მთავრობის არგუმენტაციას ყურადღების ღირსათ აღიარებენ. ხვალ საღამოთი მთავრობა კერზონის თავმჯდომარეობით შეუდგება რუსეთის ნოტის განხილვას. დარწმუნებული არიან კონფლიქტი აცილებული იქნება, მიუხედავათ უკიდურეს მემარჯვენეთა აგიტაციისა.

რუსეთისათვის ანგარიშის არ გაწევა შეუძლებელია.

ლონდონი. 14 მაისი. გაზ. „დეილი ნიუზი“ სწერს: „რუსეთი მეტად დიდია იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მისთვის ანგარიშის არ გაწევა ან მისი მოსპობა. საბჭოთა მთავრობა საკმაოთ მტკიცეა იმისათვის, რომ არ შეუშინოს უცხო სახელმწიფოების აშკარა ან ფარულ ზრახვებს“.

ამხ. ნიუბოლდის გაძევება ინგლისის თემთა პალატიდან.

ბერლინი. 17 მაისი. თემთა პალატაში კამათის დროს პალატის თავმჯდომარემ მოსთხოვა კომუნისტ ნიუბოლდს დაეტოვებია სხდომის დარბაზი, რადგან ის რეპლიკებს ესროდა ორატორებს. პალატის თავმჯდომარეს წინადადებით ამხ. ნიუბოლდი 300 ხმით 88 წინააღმდეგ გაძევებული იქნა პალატიდან (?) სხდომის განმავლობაში.

კერზონი წინდაუხედავად მოქმედობს.

სტოკჰოლმი. 14 მაისი. შვეციის გაზეთი „დაგენსტ ნიუხტერ“ აღნიშნავს, რომ თვით კერზონთან ახლო მდგომი წრეები უკმაყოფილო არიან იმით, რომ კერზონია ასე წინდაუხედავად საფრთხეში აგდებს ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის სარგებლობას. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ინგლისის პრეტენზიები რუსეთის საეკლესიო საქმეების შესახებ, რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა არისო.

პრესის აზრი

თამაში გრძელდება

ამხ. სტეკლოვის წერილი.

მოსკოვი. 17 მაისი. ამხ. სტეკლოვი ათავსებს წერილს „იზვესტიაში“ შემდეგი სათაურით: „თამაში გრძელდება“, რომელშიაც ამრიგად ახასიათებს ინგლისის პარლამენტში გამართულ კამათს:

„არ შეიძლება ითქვას, რომ ეს კამათი ხელს უწყობდა მდგომარეობის გამორკვევას ან კონფლიქტის თავიდან აშორებას. ოპოზიციის სახელით გამოდიოდენ: მაკდონალდი, მუშათა პარტიის წარმომადგენელი და ლოიდ-ჯორჯი და ასკვიტი, როგორც ლიბერალური პარტიის მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის წარმომადგენლები. რადგანაც კერზონის ნოტა აშკარა პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა და არა ნაკლებ პროვოკაციულია ეხლანდელი კაბინეტის მთელი პოლიტიკა რუსეთის საკითხში, უნდა გვეფიქრა, რომ ოპოზიციის ლიდერები გამოვიდოდენ უფრო გარკვეული და ენერგიული განცხადებებით. მაგრამ თუ ჩვენ შეგვიძლია გამოვსთქვათ უიმედობა ოპოზიციის გამოსვლით, მით უფრო შეგვიძლია უკმაყოფილება გამოვსთქვათ იმ არაპირდაპირი და ორ აზროვანი პასუხით, რომელიც წარმოადგინა—მაკ ნეილმა, მთავრობის სახელით.

მაკ ნეილმა რუსეთის საპასუხო ნოტაში დამაკმაყოფილებლად სცნო მხოლოდ ის მუხლი, რომელიც შეეხება ტრალერებს. ყველა დანარჩენი რუსეთის ნოტაში მაკ ნეილს არ მოსწონს. ინგლისის მთავრობას საერთოდ არ სურს დაკმაყოფილდეს „ნაკლებით და საჭიროდ მიაჩნია რუსეთმა სავსებით შეასრულოს მოთხოვნილებები“. გეგმა საკმაოდ საომარია. ინგლისის მოთხოვნილებათა ულტიმატიური ხასიათი რჩება. დაცულია აგრეთვე არასასურველობა რუსეთთან მოლაპარაკებისა შეთანხმების ნიადაგზე, როგორც თანასწორის თანასწორთან.

ჩვენ მზად ვართ ვაწარმოვოთ მოლაპარაკება ბრიტანეთის მთავრობასთან ყველა სადავო საკითხების შესახებ, მაგრამ საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში ნებას არ მისცემს ვინმეს, რომ მან თავზე მოახვიოს მას თავისი სურვილი. ამის შესახებ საქვეყნოდ განაცხადეს რუსეთის მილიონიანმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ.

თუ კონსერვატიული კაბინეტი მიისწრაფვის შეგნებულად განხეთქილებისაკენ, ის ამავე ნიადაგზე უნდა დადგეს. პალატაში მაკ ნეილის ორაზროვან დეკლარაციის გამო, ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონსერვატიულ კაბინეტს სურდა მხოლოდ მიეჩქმალა საკითხი და დაეშვიდებია რამოდენიმედ აღელვებული საზოგადოებრივი აზრი, რათა გზა გაეკაფა თავისთვის საპარლამენტო არდადეგების მოახლოვების გამო.

და ვინაიდან ეხლანდელი ბრიტანეთის მთავრობა არსებითად იმავე პოზიციაზე რჩება, რომელიც აუცილებლად ხდის კონფლიქტს, ჩვენ მისგან შეგვიძლია ველოდეთ ახლო მომავალში ყოველგვარ სიურპრიზებს.

ამიტომ საბჭოთა რუსეთი უნდა იდგეს სადარაჯოზე. მტკიცე მშვიდობიანობისადმი მისწრაფებაში, ის მტკიცე უნდა იყოს იმ უკანონო ზრახვების და ცდების საწინააღმდეგო ბრძოლაში, რომლითაც სურთ თავზე მოახვიონ მას მოთხოვნილებანი, რომელთა კანონიერებას და სამართლიანობას საბჭოთა რუსეთი უარყოფს“.

მტერს ფხიზლათ უნდა ვადევნოთ თვალყური

„პრავდას“ წერილი.

მოსკოვი. 16 მაისი. „პრავდა“ მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ თვით ბურჟუაზიული გაზეთები საბჭოთა მთავრობის პასუხს ინგლისის ნოტაზე თვლიან თავაზიანად და მშვიდობიანობის დაცვისკენ მიმართულად. თვით ბურჟუაზიული გაზეთები კერზონის ნოტას პროვოკაციულ აქტად ნათლავენ. მოწინააღმდეგეები განაგრძობენ ჩვენი დაშინების პოლიტიკას. ვარშავაში მიემგზავრება ინგლისის შტაბის უფროსი პოლონეთის მემამულეების პრესა ამ მგზავრობას უკავშირებს ინგლისის მეფის მთავრობის ულტიმატუმს.

ნათელია, რომ ჩვენ ყველაზე ნაკლებ უნდა გვეშინოდეს.

შეუძლებელია დაუსჯელად კერზონის პოლიტიკის გაგრძელება იმ დროს, როცა თვით ბურჟუაზიული პრესის ნაწილმა კერზონს პროვოკატორი უწოდა. ორში ერთი: მანიაკი, ავადმყოფი ლორდი დაიჟინებს თავისას და მაშინ მას წინააღმდეგობას გაუწევენ ან ლორდმა უკან უნდა დაიხიოს. ამ შემთხვევაში ეს იქნება კერზონის პოლიტიკის საგრძნობლად შებღალვა. ეს შედეგი მით უფრო სამწუხარო იქნება მოძალადეებისა და ულტიმატუმის ავტორებისათვის, რამდენად ენერგიული იქნება მასების მობილიზაცია ძალადობის წინააღმდეგ. ყველა ქვეყნის მუშებმა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალი მტერს. მტრის თითეული ნაბიჯი გამოყენებული უნდა იქნეს. მდგომარეობის გამწვავების ყოველივე შესაძლებლობა უნდა გავითვალისწინოთ.

ერთიანი ფრონტი

„იზვესტიას“ წერილი

მოსკოვი. 16 მაისი. „იზვესტია“ თავის წერილში „ერთიანი ფრონტი“—ამ რიგად ათავსებს კერზონის ნოტას: „ჩვენ ვამჩნევთ იმ ერთსულოვანი აღგზნებიდან, რომელმაც მოიცვა რუსეთის ხალხის ყველა ელემენტები, შეაკავშირა ისინი საბჭოთა ხელისუფლების გარშემო რევოლიუციონური პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, რომ ყოველგვარი ძალადობა უცხოეთიდან დაიმსხვრება უსასტიკეს წინააღმდეგობაზე და თუ გაუსწორებელი კონტრ-რევოლიუციონერები ფიქრობდენ ესარგებლად ამ კონფლიქტით თავიანთ მიზნებისათვის, ეხლა ისინი დაინახავენ იმას, თუ როგორი ხვედრი მოელის მათ, თუ ისინი შეეცდებიან განაახლონ სამოქალაქო არევ დარევა და გამოვლენ უცხოეთის ძალადობის გამტარებელის როლში. ამაოდ შეშფოთდენ უცხოეთის ნაძირალები. მთელი რუსეთის ხალხის ერთსულოვან ნებისყოფაზე დაიმსხვრევა ყველა შეთქმულებანი როგორც უცხოეთის, ისე მათ მცირერიცხოვან რუს დამქაშებისა და აგენტების.

როგორ ატყუილებენ საზოგადოებრივ აზრს „დემოკრატიულ სახელმწიფოებში“

მოსკოვი. 17 მაისი. მოსკოვის გაზეთების დღევანდელი მოწინავე წერილები ეხებიან იმ კამათს, რომელიც სწარმოებს ინგლისის პალატაში კერზონის ნოტის და რუსეთის პასუხის გარშემო.

„პრავდა“ თავის წერილში—„როგორ ატყუილებენ საზოგადოებრივ აზრს და როგორ ეპყრობა დემოკრატია „პასლამ“—სწერს: „თემთა პალატაში მოხდა ნამდვილი კომედია, რომელიც ახასიათებს პარლამენტს, როგორც უბრალო სათამაშოს ბრძოლის გუნებაზე მყოფ ლორდების ხელში. მას შემდეგ, როდესაც თვით ბურჟუაზიული პრესის ნაწილმა უწოდა მისტერ კერზონის ულტიმატუმს პროვოკაცია, მაკნეილი აცხადებს პარლა-

მენტში, რომ ინგლისის მთავრობა უარყოფს კონფერენციას, მას არ სურს აწარმოვოს ხანგრძლივი მოლაპარაკება, იცავს ულტიმატუმს და არ სურს დაკმაყოფილდეს ნაკლებით. პარლამენტის წევრები მიდიან. შემდეგ— მთელი ძალა-უფლება ეძლევა კერზონს, რომელსაც გზა ხსნილი აქვს. ასე უმასპინძლდებიან ინგლისის მინისტრები და ინდოეთის ყოფ. ვიცე-კოროლები თავიან პარლამენტს. ოპოზიცია კი მინისტრის პირველ შეძახილზე მას მიჰყვება. ასეთია ბელადების „ოპოზიცია“.

მაგრამ ასეთი არ იქნება მუშების ოპოზიცია. ინგლისის ფართო მასების წინაშე დღითი დღე უფრო აშკარა ხდება სიმართლე. ყველანი დაინახავენ, რომ ვის უნდა, ბოლოს და ბოლოს, განხეთქილება და ვინ, ემზადება ომისათვის, ვინ უქადის ევროპას ახალ კოლოსალურ უბედურებას.

ჩვენ ვიმეორებთ ჩვენს მოწოდებას: „მუშებო, თვალყური ადევნეთ მტრის თვითეულ ნაბიჯს. მტერმა, როგორც სჩანს გადასწყვიტა მიიყვანოს საქმე სისხლის მღვრელ დასკვნამდე. პროლეტარებო, თვალყური ადევნეთ მტრის თვითეულ სიტყვას, რათა დარწმუნდეთ ვის და რისთვის სურს მახვილი ჩასცეს ჩვენს გულს.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა გამოსთქვამს სრულ სიმშვიდეს, მოთმინებას და სიმტკიცეს, ვინაიდან ასეთია ჩვენი პროლეტარიატის ნებისყოფა და ამას მოითხოვს მისი კოლექტიური აზრი.

საბჭოთა მთავრობა მართალია

ლონდონი. 14 მაისი. გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“ რუსეთის მოთხოვნილებას 12 მილიანი ზონის დაწესების შესახებ აღიარებს დასაშვებად და გამოწვეულად ისეთივე განსაკუთრებული პირობებით, რომელთა გამო ინგლისმა ინდოეთის ნაპირებთან მარგალიტების საჭერად დააწესა 24 მილიანი ზონა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო ხელშეკრულებების გაუქმებას მოჰყვება ინგლისის სავაჭრო ცხოვრების მოშლა და უმუშევართა რიცხვის გაზრდა. ინგლისსა და რუსეთს შორის შეთანხმების გარეშე მშვიდობიანობა ევროპასა და აღმოსავლეთში შეუძლებელია.

საპროტესტო დემონსტ. იმპერ. თავდასხმის წინააღმდეგ

სომხეთის მუსულმანთა პროტესტი.

ერევანი. 16 მაისი. გუშინ ამხ. ტროცკის სახელობის წითელ-არმიელთა კლუბში შესდგა ერევნის მუსულმანთა საპროტესტო მიტინგი ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო. ერთხმად მიღებულია რეზოლიუცია: „მოეთხოვოს საბჭოთა მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიოს საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმის განზრახვებს; იარაღის ქვეშ დავდგეთ ყველა, როგორც ერთი კაცი მშრომელთა ინტერესების დასაცავად“.

სომხეთის ყველა კუთხეებიდან.

ერევანი. 16 მაისი. სომხეთის ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები ამხ. ვოროვსკის მოკვლისა და ინგლისის ნოტის საწინააღმდეგოდ შემდგარ დემონსტრაციებსა და მიტინგების შესახებ; ცნობები აღნიშნავენ მუშებისა და გლეხების გაუტეხელ სურვილს თავის გულით დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკები კაპიტალის თავდასხმის განზრახვებისაგან.

რას მოითხოვს წითელი არმია

მოსკოვი. 15 მაისი. მოსკოვის გარნიზონის ნაწილების კერზონის ნოტის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციებში მოითხოვენ: აღშფოთებით იქნას უარყოფილი ინგლისის თავხედური ნოტა, მოეთხოვოს ინგლისს თეთრგვარდიელთა დახმარების აუცილებლათ შეწყვეტა, წართმეული გემების დაუყოვნებლივ დაბრუნება, ნიკოლოზ სისხლიანის მიერ ინგლისის ბანკებში შენახულ ფულების და განძეულობის საბჭოთა მთავრობისათვის გადაცემა, ბაქოს 26 კომისარის მკვლელების პასუხისგებაში მიცემა, ინგლისის მიერ ცეპლიაკისა და ბუდკევიჩის გასამართლების გამო გამოგზავნილი აღმაშფოთებელი ნოტის უკან წაღება, ანაზღაურება სამოქალაქო ომის დროს მშრომელი მასებისათვის როგორც უშუალოდ ინგლისის ჯარების მიერ ისე ინგლისის მთავრობის დაქირავებული თეთრ გენერლების მიერ მიყენებული ზარალისა.

წითელი არმია აცხადებს, რომ ის მთელი თავისი ძალებით. მხარს დაუჭერს ამ სამართლიან მოთხოვნილებებს.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 35)

მოსკოვი. 16 მაისი. ტემპერატურა და მაჯისცემა ნორმალურია. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პროფესორები: **ნონნე, კრამერი.**
ექიმები: **გოტიე, ელისტრატოვი.**
პრივატ-დოცენტი: **კოჟევნიკოვი.**
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: **სემაშკო.**

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო

კიდევ ერთი აღმაშფოთებელი წვრილმანი.

პარიზი. 15 მაისი. საფრანგეთის პრესა საინტერესო დაწვრილებითი ცნობებს იტყობინება ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ. სასტუმროს ორი მოსამსახურის ჩვენებით ამხ. ვოროვსკი იქვე იყო მოკლული, არენსმა კი კიდევ იმდენი ძალა გამოიჩინა, რომ უნდოდა რევოლვერის ამოღება, მაგრამ ის უიარაღო იყო.

„მატენი“ ბეჭდავს ამხ. არენსის მეორე განცხადების ტექსტს, რომელიც ამტკიცებს შვეიცარიის პოლიციის ცნობების სიყალბეს, თითქოს ამხ. ვოროვსკის უარი ეთქვას დაცვაზე.

ლაპარაკს უშლიან.

ბერლინი. 15 მაისი. ლოზანის ხელისუფლებებმა ნება მისცენ სოციალისტურ პროფკავშირებს გააცილონ ამხ. ვოროვსკის ცხედარი სადგურზე, მაგრამ აუკრძალეს მათ სიტყვების წარმოსთქმა.

ამხ. ვოროვსკი, მიუხედავათ მუქარისა, ურყევი იყო.

ბერლინი. 15 მაისი. გაზეთ „კელნიშე ცეიტუნგში“ დაბეჭდილია ამხ. ვოროვსკის ამ გაზეთის ლოზანის კორესპონდენტთან უკანასკნელი შეხვედრის გულის მაჟუჩებელი აღწერილობა. კორესპონდენტი იტყობინება, რომ ამხანაგი ვოროვსკი საუბრის დროს რამდენჯერმე უბრუნდებოდა იმ მუქარას, რომელიც მან ფაშისტებისაგან მიიღო და ამბობდა, რომ ის უკან არ დაიხევს საბჭოთა მთავრობის დირექტივებისაგან და დარჩება ლოზანაში კონფერენციის დასრულებამდე. ამხ. ვოროვსკიმ აღნიშნა, რომ შვეიცარიის ფაშისტები არ წარმოადგენენ თავის მთავრობასთან მებრძოლ ელემენტებს და ამიტომ რუსეთის დელეგაციის მდგომარეობა ლოზანაში დამოკიდებულია შვეიცარიის ხელისუფლების დამოკიდებულებისაგან მისდამი. თუ ჩვენ ხიფათში ჩავარდებით, სთქვა ამხ. ვოროვსკიმ, პასუხისმგებლობა ამისათვის დაედება იმათ ვინც დაინტერესებულია დაგვაშინოს ჩვენ და გვაიძულოს დავტოვოთ კონფერენცია.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მეზობელ სასტუმროს, სადაც საფრანგეთის წარმომადგენელი, გენერალი პელლე, სცხოვრობს დღე და ღამ საიდუმლო პოლიციის აგენტები იცავს, რომელიც შვეიცარიის მთავრობამ დააყენა.

იტალიის წრეები მკვლელობის შესახებ.

რომი. 14 მაისი. ამხ. ვოროვსკის მოკვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რომში. საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგე გაზეთებიც კი აღნიშნავენ იმ თავაზიანობას, რომლითაც ამხ. ვოროვსკი ყოველთვის ირჩეოდა.

გაზეთი „ტრიბუნა“ აღნიშნავს იმ დადებით გავლენას, რომელსაც ამხ. ვოროვსკი გენუის კონფერენციაზე ახდენდა.

„ავანტი“ ამხ. ვოროვსკის მოკვლის პასუხისმგებლობას ადებს ევროპის რეაქციას. „ეპოხა“ სწერს: „ვოროვსკის მოკვლა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ახალი ნაბიჯია და აიხსნება ზოგიერთ სახელმწიფოების სურვილით გაართულონ აღმოსავლეთის საქმეებიო“.

„ნუოვო პოეზე“ ხაზს უსვამს მკვლელობის პოლიტიკურ ხასიათს და მასში ხედავს კონტრ-რევოლიუციონერების ხელს, რომელნიც არ კარგავენ თავიანთ იმედებს.

სამძიმარის გამოცხადება.

რომი. 14 მაისი. რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობამ რომში ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო სამძიმარის გამოცხადება მიიღო მუსოლინისა, ვატიკანისა, სოციალისტურ პარტიებისა, „ავანტის“ რედაქციისა, ტურატის ჯგუფისა და პარლამენტის კომუნისტურ ფრაქციისაგან.

შვეიცარიის მთავრობის დანაშაული მკვლელობაში ნამდვილია.

ბერლინი. 15 მაისი. გაზ. „კელნიშე ცეიტუნგის“ და „ფოსსიშე ცეიტუნგის“ ლოზანის კორესპონდენტები რუსეთის მთავრობის ბრალდებას შვეიცარიის მთავრობის მიმართ სამართლიანათ სთვლიან.

ინგლისის პრესა ჰკიცხავს მკვლელობას.

ბერლინი. 15 მაისი. ინგლისის პრესა გადაჭრით ჰკიცხავს ამხ. ვოროვსკის მკვლელობას. პრესის განცხადებით, განსვენებული მუდამ კარგ გავლენას ახდენდა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაზე.

ბოლო უნდა მოუღოთ შეთქმულებებს.

ანგორა. 16 მაისი. ამხ ვოროვსკის მოკვლის გამო „ხაკიმიეტ მილიე“ მოითხოვს ბოლო მოეღოს შეთქმულების პოლიტიკას.

ამხ. ვოროვსკის ცხედრის გამოსვენება ბერლინში.

ბერლინი. 17 მაისი. ამხ ვოროვსკის ცხედარი მოასვენეს ბერლინში, სადაც ის მოათავსეს საბჭოთა მთავრობის საელჩოში. ცხედარი იმყოფება წითელ კუბოში, რომელიც დაფარულია დიდი წითელი დროშით. საელჩოს გარშემო ჩამწკრივდა გერმანიის კომუნისტების საპატიო ყარაული, ანთებულ ჩირაღდნებით იქედან კუბო მიტანილ იქნა სადგურში. კუბოს მიჰყვებოდა ვეებერთელა პროცესია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გერმანიის კომუნისტებმა და მუშებმა. ყოველ მხრივ ჩამწკრივებული იყვნენ საპატიო ყარაულები. ცხედარი მოათავსეს სადგურში მოსკოვში გამოსასვენებლად.

კომინტერნის და პროფინტერნის მოწოდება

ყველა ქვეყნის მშრომელთ.

მოსკოვი. 15 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა და პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მოწოდებით მიმართეს ყველა ქვეყნის მუშებს. მოწოდება გამარტავს ამხ. ვოროვსკის მოკვლის მნიშვნელობას.

ამხ. ვოროვსკი მოკლეს იმიტომ, რომ იცავდა დაჩაგრულ ერებს.

დიპლომატებმა და ლოზანას კონფერენციის ორგანიზატორებმა თვით კი არ მოკლეს ამხ. ვოროვსკი, არამედ მოაწყვეს ეს დიპლომატიური კონსპირაციის მთელ ხელმძღვანელობით

რუსეთის წარმომადგენელი მოკლეს იმიტომ, რომ ის იცავდა ოსმალეთის დამოუკიდებლობას, მოითხოვდა დარდანელის სრუტეს დახურვას ინგლისის სამხედრო გემებისათვის. რადგან დარდანელის სრუტე კი წარმოადგენს აღმოსავლეთის ერების თავისუფლების გასაღებს. შესაძლებელია, რომ ახლა ოსმალეთის წარმომადგენლები ლოზანაში წამოაჩოქებენ ანტანტის დიპლომატიის წინაშე ოსმალეთის ნაციონალისტებს, რომლებიც პირველ რიგში იცავენ მქონებელ კლასების ინტერესებს, შეუძლიათ გაჰყიდონ ოსმალეთის ერის ნაციონალური მომავალი.

ინგლისი ცდილობს აღმოსავლეთის დამონებას და ნავთის ხელში ჩაგდებას.

დარდანელის საშუალებით ბრიტანეთის იმპერიალიზმი შეეცდება ხელში ჩაიგდოს რუსეთის ნავთი ბაქოში და რუსეთის ხალხის სიმდიდრე ურალში. ინგლისი ცდილობს სტამბოლში გაბატონებას და მთელი ოსმალეთის თავის კოლონიათ გადაქცევას. ოსმალეთის დამონება ნიშნავს სპარსეთის, ავღანისტანის და ყველა ერების— ხმელთა შუა ზღვიდან ინდოეთამდე— დამოუკიდებელი არსებობის მოსპობას, ოსმალეთის დამონება ინგლისის მიერ ძირშივე ჩაკლავს ლტოლვას ნაციონალური დამოუკიდებლობისაკენ ეგვიპტეში, ინდოეთში, ჩინეთში.

ესროლეს ევროპის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

მეორე მხრით ლოზანაში ესროლეს ევროპის რევოლიუციონურ პროლეტარიატს. ფაშისტებმა ამით ომი გამოუცხადეს მთელი ქვეყნის მებრძოლ, პროლეტარიატის უძლეველ დასაყრდენს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

დასასრულ მოწოდება ავალებს მთელი ქვეყნის დაჩაგრულ და დამონებულ მასებს შეკავშირდენ თავდაცვისათვის შეტევაზე გადმოსულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მთლიანი ფრონტით რეაქციის წინააღმდეგ

ჩეხო-სლოვაკია.

პრაგა. 14 მაისი. გამოჩენილი მეცნიერი პროფესორი რადლი პრესაში აცხადებს, რომ ფოშის ჩამოსვლა ჩეხო-სლოვაკიაში გაამაგრებს რეაქციას. ნაციონალისტების და კლერიკალების მჭიდრო ფრონტს, ამბობს რადლი, საჭიროა დაუპირდაპირდეს ყველა პროგრესიულ ელემენტების მთლიანი ფრონტი კომუნისტებთან ერთად. სოციალიზმის ბედი, აღნიშნავს შემდეგ რადლი, დამოკიდებულია საბჭოთა რუსეთის ბედისგან.

რურის ოლქის ოკუპაცია

რკინის გზელების გადასახლება

რომი 17 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში საოკუპაციო მთავრობამ რურიდან გადაასახლა 70 რკინის გზელის ოჯახი.

შვეციის მეფის დატუსაღება

რომი 17 მაისი. გაზეთების ცნობით, შვეციის მეფე, რომელიც რურში ჩავიდა ბადენის ჰერცოგის ქალის დასაფლავებაზე დასასწრებლათ, დაატუსაღა საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლებამ და გაანთავისუფლა რამდენიმე საათის შემდეგ, როცა გამოარკვიეს დატუსაღებულის ვინაობა. როგორც გაზეთები იუწყებიან, კომენდანტი, რომელმაც მეფე დაატუსაღა გადაყენებული იქნება.

ლოზანას კონფერენცია

ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა.

პარიზი. 17 მაისი. ლოზანას კონფერენციის პოლიტიკურმა კომისიამ როგორც იქნა შესძლო მრავალ მეორე ხარისხოვან საკითხების მოგვარება. მოხდა შეთანხმება ინგლისის და ოსმალეთის დელეგატებს შორის გალიპოლში არსებულ ინგლისის სასაფლაოების შესახებ. მოგვარებულია საკითხი ადრიანოპოლ-სტამბოლის რკინის გზის შესახებ. დაიწყო განხილვა ოსმალეთის გაცხადების, რომელიც შეეხება უცხოეთის იმ სკოლების, რელიგიურ საზოგადოებების და საავადმყოფოების რეჟიმს, რომელიც გაიხსნა ოსმალეთში 1914 წლის 30 ოქტომბრამდე. ისმეტ ფაშამ განაცხადა, რომ უფლება და უპირატესობანი, რომლებიც გათვალისწინებულია საზავო ხელშეკრულებაში და მიღებული ოსმალეთის მიერ არ შეიძლება გავრცელებულ იქნეს ყველა სახელმწიფოებზე, რომლებიც ხელს მოაწერენ ხელშეკრულებაზე. საკითხი გადაიდო შემდეგისათვის. ექსპერტების კომისიას გადაეცა აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაემორჩილონ უცხოეთის სამოსწავლო, რელიგიური და საქველმოქმედო დაწესებულებანი.

სად ხდება მოლაპარაკება?

ლონდონი 17 მაისი. ლოზანას კონფერენციის ეკონომიურ კომისიაში მიაღწიეს შეთანხმებას ბევრ მეორე ხარისხოვან საკითხების შესახებ. სხვა საკითხების გადაჭრა დამოკიდებულია მოლაპარაკებაზე, რომელიც ახლა სწარმოებს სტამბოლში და ანგორაში.

ახლო აღმოსავლეთში

ბერძნები ამზადებდნენ ისმეტ-ფაშას მოკვლას.

ანგორა. 14 მაისი. გაზ. „ილერის“ ცნობით, ადნან ბეიმ განაცხადა, რომ ისმეტ ფაშას მოკვლას ამზადებდნენ ბერძნები.

საფრანგეთის სამხედრო გემი ოსმალეთის წყლებში.

ანგორა. 14 მაისი. ალექსანდრეტაში, იერგალეკში და დორკიოლში საფრანგეთის სამხედრო გემები ორი საათის განმავლობაში ისროდენ სამხედრო სწავლების მიზნით. გაზეთი „ენი ადანი“ სწერს, რომ საფრანგეთის სამხედრო გემები ჩხრეკდენ გემებს, რომლებიც მერსინაში შედიოდენ.

კრეისერი „სტრასბერგი“ მერსინაში.

ანგორა. 14 მაისი. 12 მაისს კრეისერი „სტრასბერგი“ მერსინის ნავთსადგურში შევიდა.

ვენიზელოსის მისწრაფებანი.

ანგორა. 16 მაისი. გაზ. „ენი გიუნი“ სწერს, რომ ვენიზელოსს სურს მოაგვაროს საბერძნეთ-ოსმალეთის ურთიერთობა ბოლგარეთთან შეთანხმებული ბრძოლის მიზნით. ეს წერილი ამის გამო თავდება შემდეგი სიტყვებით: „ბერძნებს ადგილი არ აქვთ ოსმალეთში“.

საბერძნეთის წყალ-ქვეშა ნავები სმირნასთან.

ანგორა. 16 მაისი. სმირნას რაიონში გამოჩნდა საბერძნეთის ორი წყალ ქვეშა ნავი. ზარბაზნების ცეცხლით ნავები უკუაგდეს.

ნახშირის მრეწველობის განვითარება.

ანგორა. 16 მაისი. ზუნგულდახის ნახშირის მრეწველობის განვითარების მიზნით. ეკონომიის კომისარიატმა შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც უნდა გაუქმდეს გადასახადი დამუშავებულ ნახშირზე და ეს ნახშირი უნდა მოხმარდეს ოსმალეთის რკინის გზებს და გემებს.

ოსმალეთი და საბერძნეთი

ლონდონი. 16 მაისი. „დეილი მეილის“ კორესპოდენტი იუწყება, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ლოზანის კონფერენციის წრეებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. განსაკუთრებულ საქმიანობას იჩენს საბერძნეთის დელეგაცია. ეს საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ ბერძნები ამზადებენ თავდასხმას ოსმალეთზე მთელ მარიცას ხაზზე. ეს მოხდება იმ შემთხვევაში თუ მიღწეული არ იქნება შეთანხმება საკონტრიბუციო საკითხში. ამის შესახებ ბერძნებმა აცნობეს ისმეტ-ფაშას, რომელსაც ამის გამო თათბირი ქონდა მოკავშირეების წარმომადგენლებთან.

„მატენის“ კორესპოდენტი იუწყება, რომ ვენიზელოსმა ისმეტ-ფაშას საუბარის დროს განუცხადა—ბერძნებს მობეზრდა თათბირები და კონფერენციებიო. ვენიზელოსმა პირდაპირ დაუყენა საკითხი ისმეტ-ფაშას: ზავი ან ომი.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 16 მაისი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმი, რომელიც მოწვეული იყო 20 მაისისათვის, გადაიდო 10 ივნისისათვის. მოელიან კომინტერნის ყველა სექციების წარმომადგენლების ჩამოსვლას.

სხვადასხვა ამბები

მუშებმა გაიმარჯვეს.

პარიზი. 15 მაისი. გემების შემკეთებელ სახელოსნოების მუშების გაფიცვა ნანტში მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

გაფიცვა ელბევში გრძელდება.

პარიზი. 15 მაისი. გაფიცვა ელბეფში გრძელდება. დატუსაღებულია ფეიქართა პროფკავშირის მდივანი გერკლე. ფორევში მუშების დიდი დემონსტრაციები მოხდა.

პოლონეთი.

პატრონი კმაყოფილია ნოქარით.

პარიზი. 14 მაისი. ოფიციალური ცნობა ამბობს: „მარშალმა ფოშმა პოლონეთის დატოვების წინ კმაყოფილება გამოსთქვა პოლონეთის გენერალურ შტაბის მუშაობით“. ორშაბათს ფოში პრაგაში ჩავიდა.

ხელშეკრულების გადახედვა.

ვარშავა. 14 მაისი. პოლონეთის სამრეწველო წრეებმა შუამდგომლობა აღძრეს პოლონეთისათვის უსარგებლო საფრანგეთ-პოლონეთის სავაჭრო ხელშეკრულების გადახედვის შესახებ.

უნგრეთი.

სესხს ეძებენ.

ვენა. 14 მაისი. უნგრეთის მთავრობამ შუამდგომლობით მიმართა სარეპარაციო კომისიას, მისცეს უნგრეთს მოკლე-ვადიანი სესხი 50 მილ. ოქროს კრონის რაოდენობით და 650 მილ. ოქროს კრონის გრძელ-ვადიანი სესხი.

საბერძნეთი.

კომპარტიის ყრილობა.

ვენა. 14 მაისი. საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცეკა 20 მაისისათვის იწვევს პარტიის ყრილობას.

ამერიკა.

სესხი ჩინეთს.

ნიუ-იორკი. 14 მაისი. ვაშინგტონის მთავრობა აშკარად აქეზებს ამერიკის ბანკირებს მონაწილეობა მიიღონ ჩინეთისათვის სესხის მიცემის საერთაშორისო კონსორციუმში.

ავსტრია.

მცხოვრებლები კომუნისტებს მიჰყვებიან.

ვენა. 14 მაისი. უკანასკნელი კვირების განმავლობაში ავსტრიის მთელ რიგ კუთხეებში მიმდინარეობდა კომუნალური არჩევნები, რომლებზედაც კომუნისტები საკუთარ სიებით გამოდიოდნენ. ყველგან, განსაკუთრებით სამრეწველო რაიონებში, შემჩნეულია კომუნისტების ხმების გამრავლება.

ლატვია.

რაზედ მიდის ლატვიის მუშების ფული.

რიგა. 15 მაისი. ლატვიამ სამხედრო მოწყობილობის მოტანისათვის გადაუხადა საფრანგეთს 11 ნახ. მილ. ფრანკი.

მუშები საბჭოთა რუსეთს ეხმარებიან.

მოსკოვი. 15 მაისი. ივლისში ბერლინში მოწვეულია რუსეთის სახალხო მეურნეობის აღმდგენელ ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენცია. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი უკვე შეუდგა იმ მასალების სისტემაში მოყვანას, რომელიც სოფლის მეურნეობას ეხება.

ინგლისში.

საკითხი პოლონეთის საზღვარის შესახებ.

ლონდონი, 17 მაისი. ინგლისის ლორდთა პალატაში შეტანილ იქნა შეკითხვა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრების დაწესების და საზღვრების მოკავშირეების მიერ ცნობის შესახებ. შეკითხვის პასუხად კერზონმა განაცხადა, რომ საკითხი პოლონეთის საზღვრების შესახებ ძლიერ გართულებულია, ვინაიდან პოლონეთის საზღვრების ზოგიერთ განაპირა ადგილებში ხდებოდა სამხედრო მოქმედება. საბოლოოდ საკითხი გადაეცა ელჩთა კონფერენციას, რომელმაც გადასჭრა ის მარტში. კონფერენციის გადაწყვეტილება აღმოსავლეთ გალიციის პოლონეთისათვის გადაცემის შესახებ მოიწონეს მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებმა.

პოლონეთი.

ფოშის გამგზავრება.

პარიზი. 17 მაისი. მოიარა რა ბრძოლის ველი სადავაისათან, მარშალი ფოში გაემგზავრა ბრატისლავში, საიდანაც ის გაემგზავრა პირდაპირ პარიზში.

დანციგის საკითხი.

პარიზი. 17 მაისი. პოლონეთის მთავრობას განზრახული აქვს შეკითხვა შეიტანოს ერთა ლიგის საბჭოში ვერსალის ხელშეკრულების იმ ნაწილის სხვა და სხვა გვარად გაგების გამო, რომელიც შეეხება დანციგს. მეთვალყურის დანიშვნა ვერსალის ხელშეკრულების სისწორით შესრულებისათვის დამოკიდებულია ლიგის საბჭოსაგან.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთში.

ს. მ. უ. ს შემადგენლობა.

მოსკოვი. 16 მაისი. ს. მ. უ. ს. შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ ამხანაგები ჩუბური და პიატაკოვი ამხ. პიატაკოვი დაინიშნა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მეორე ამხანაგათ. ს. მ. უ. ს. საერთო ხელმძღვანელობა რჩება ამხ. ბოგდანოვს. 20 —25 ივნისს ს. მ. უ. ს იწვევს სახალხო მეურნეობის საბჭოების და მსხვილი ტრესტების მოღვაწეთა თათბირს.

ელექტროფიკაცია.

მოსკოვი. 16 მაისი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სააქციონერო საზოგადოების წესდება, რომლის მიზანს შეადგენს ეკატერინობურგის ახლო ტორფის ჭაობში ელექტრო-სადგურის აშენება.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

მოსკოვი 16 მაისი. მექრთამეობასთან ბრძოლის კამპანიის ჩატარების დროს აღძრულია 4,700 საქმე, გაირჩა ნახევარი, დაისაჯა 3,300 კაცი, მათ შორის 500 პასუხისმგებელი მუშაკი.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საგაფიცვო მოძრაობა დაკავებულ ოლქებში.

ობერგაუზენში „კონკორდია“-ს მაღაროებში სამთომადნო მუშების გაფიცვა გრძელდება დაახლოვებით სამი კვირის განმავლობაში. ადმინისტრაცია მოითხოვს გაფიცვის შეწყვეტას და სამთომადნო მუშების კავშირის ხელმძღვანელები მომხრენი არიან დაკმაყოფილებულ იქნეს ეს მოთხოვნილება. მუშები კი ფაბრიკა-ქარხნების საბჭოებთან ერთად უარს ამბობენ გაფიცვის ლიკვიდაციაზე, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნილება მაღაროების რაიონიდან საფრანგეთის რაზმების გაყვანის შესახებ. მუშების საერთო კრების მიერ გაგზავნილ იქნა დელეგაცია ბერლინში მინისტრთან, რომლიდანაც მან მიიღო დაპირება, რომ მთავრობა თვითვე იკისრებს საგაფიცვო თანხმარების აღმოჩენას, რადგანაც კავშირების საშუალებანი ამოწურულია და მათ არ შეუძლიათ დახმარების აღმოჩენა.

რურის სააღმშენებლო მრეწველობის მუშათა გაფიცვა.

ბარმენში—ელბერფელდში და რემშეიდში გაფიცული არიან სააღმშენებლო მრეწველობის მუშები. გაფიცვა გამოწვეულია მით, რომ შრომის სამინისტრომ უარი სთქვა გამოეცხადებია სამედიატორო სასამართლოს, სავალდებულო დადგენილება საათში სამუშაო ხელფასის 150 მარკით გადიდების შესახებ. გაფიცვა გავრცელდა სხვა სამრეწველო ცენტრებზედაც.

კელნის რკინისგზელების გაფიცვა.

კელნის ოლქში დაიწყო 23 აპრილიდან რკინისგზელების გაფიცვა, რომელიც გამოწვეულია მით, რომ რკინის გზის ადმინისტრაციამ უარი სთქვა დაეკმაყოფილებინა რკინის გზის მოსამსახურეების მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ. მუშებს დიდი სიმტკიცე ემჩნევათ.

„საერ. მოძ.“

* *
*

აწი მაინც აღარ შეკრთე, გაიმაგრე გული;
გლეხს და მუშას გაუთენდა, გალობს ვით [illegible]
რაიც უნდა თავი იკლას, მტერი ვერ აღსდგება;
აწი მედგრად დროშა ხელში, ქალო [illegible]
ფიქრს და დარდს ნუ მიეცემი, ამაოა ყველა;
ეხლა იმათ სხვაფრივ უნდა დახმარება, შველა:
ნამგალ-ჩაქუჩი მიეცი, შრომის იარაღი:
არ დაინდო ვინც არ არის შენებრ წმინდა, სადა!!
ბევრი ტანჯვა და წამება, მუშამ განიცადა;
ელვასავით მოევლინა, ფარდა აიხადა—
რაღა უშავს, იზეიმოს „შვება“ დაიბადა!
ია-ვარდი გზას მოჰფინე, ვინც მათ მეთაურობს;
ძველს ანგრევს და ახალს აგებს, მუდამ მოგზაურობს.
ეომება მოსისხლე მტერს, ცაშიც კი ხმაურობს!!

აეტი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათომი

ბათომის ბაზარი

ბათომი. 17 მაისი. საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათომის განყოფილებამ ამ დღეებში დაამთავრა ანგარიშის შედგენა ბათომის ბაზრის 1922 წლის და 1923 წლის პირველი მეოთხედის მუშაობის შესახებ. ამ ხნის განმავლობაში ბათომის ბაზარზე სჭარბობდა სამომხმარებლო საქონელი, გასული წლის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში საქონლის შემოზიდვა უცხოეთიდან შემცირდა და ბათომის ბაზარი დაიკავა თანდათანობით სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთმა. ყველა სამომხმარებლო საქონლიდან მთავარ როლს ბათომში თამაშობს შაქარი, შემდეგ მანუფაქტურა და სხვა.

1923 წლის პირველ მესამედში ბათომში გაძლიერდა მოთხოვნილება ფქვილზე, რომელსაც უკანასკნელ დროს დიდი გასავალი ჰქონდა. სულ კოლონიალური საქონელი შემოტანილია საშუალოდ 50 პროცენტი, ბათომის მთელ იმპორტთან შეფარდებით. ყველაზე უფრო მტკიცე საქონელი მთელი გასული წლის განმავლობაში იყო ტყავი, ფეხსაცმელი და რეზინის ნაწარმოები. ბათომიდან გაზიდულ საქონელში პირველი ადგილი უჭირავს ნავთის პროდუქტებს, რომლის პროდუქტი ყოველთვიურად იზრდება.

მეორე ადგილი უჭირავს შავ-ქვას, რომელიც შარშან გაზიდული იყო 500,000 ფუთამდე. ანგარიშში საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. ბათომიდან ოქროს გაზიდვის შესახებ, მაგალითად, 1922 წელს, ზაფხულზე უცხოეთში გატანილი ოქროს რაოდენობა უდრიდა თვიურად 25 ფუთს. განსხვავება ბათომში და სტამბოლში არსებულ ფასებს-შორის აღწევდა 40 პროცენტს.

ქალაქის გაფართოება

ბათომი. 16 მაისი. ბათომის საბჭოს ქალაქის მოწყობის სექციამ დაამტკიცა ბათომის გაფართოების პროექტი. სექციამ დაადგინა იშუამდგომლოს სამხედრო უწყების წინაშე, რათა ის მიწები, სადაც გაუქმებული ფორტები მდებარეობს, გადაეცეს ქალაქს.

არხების გაწმენდა

ბათომი. 16 მაისი. ბათომის კომუნალური მეურნეობის ტეხნიკური თათბირის სასწრაფო სხდომამ მიიღო პროექტი ქალაქის არხების გასაწმენდათ მიწამღები მანქანის საჩქაროთ გაკეთების შესახებ. მანქანის პროექტი შეადგინა ინჟ. ფოგელმა. მანქანების ნაწილები დამზადდება მეორე და მესამე საბჭოთა ქარხნებში, რაც გამოაცოცხლებს ამ ქარხნების მუშაობას.

აჭარაში

პროფკავშირების გასაბჭოების ორი წლის თავი

ბათომი. 15 მაისი. დღეს, პროფკავშირების გასაბჭოების ორი წლის თავის აღსანიშნავად აკადემიურ თეატრში მოწვეულია პროფკავშირთა საბჭოს გაფართოებული პლენუმი.

მბეჭდავებმა გამოსცეს „წითელი მბეჭდავის“ საიუბილეო ნომერი.

აზერბეიჯანი

საბჭოთა მეურნეობანი

ბაქო. 16 მაისი. უმაღლეს ეკონომიურ თათბირის პრეზიდიუმმა დაადგინა გადასცეს სამაზრო აღმასკომებს მათ ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა მეურნეობანი, რომელთაც არ აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გარდა ბაქოს რაიონის და მისი მაზრის საბჭოთა მეურნეობისა

მეაბრეშუმეობის კამპანია

ბაქო. 15 მაისი. აზერბეიჯანის მეაბრეშუმეობის სამმართველომ უკვე დაამთავრა თესლის დარიგება აზერბეიჯანის ყველა რაიონში: ნახიჩევანის, ზაქათალის, აგდაშის, ყარაბახის და გეოკჩაის.

სულ აზერბეიჯანის მეაბრეშუმეობის სამმართველოს განკარგულებაში იყო 30,000 კოლოფი თესლი, რომელთაგან დარიგებულია 5,000 კოლოფზე მეტი; მოდის ცნობები დანარჩენის დარიგების შესახებ.

აზერბეიჯანის მეაბრეშუმეობის სამმართველოს მორიგ ამოცანას შეადგენს ის, რომ მოაწყოს თავისი შემსყიდავი პუნქტები ზემოდ ჩამოთვლილ რაიონში ახალი მოსავლიდან მიღებული პარკის მისაღებად.

ამას გარდა შემსყიდავი პუნქტები შეისყიდიან პარკს ნაღდ ფულზე. მეაბრეშუმეებს აბრეშუმის თესლი დაურიგდა შემდეგ პირობებში: 8 გირვანქა ნედლი პარკი, თვითეულ კოლოფ თესლზე; დანარჩენი ნედლი პარკი შესყიდული იქნება ბაზრის ფასების მიხედვით. განაწილებული თესლი გასინჯული იყო წინასწარ თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურზე. შედეგები დამაკმაყოფილებელია.

ნავთის ფრონტზე

ბაქო. 15 მაისი. მაისის 10 დღის განმავლობაში ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოღებულია 5,403,000 ფ. ნავთი. აღებულია გადასაქაჩავად 3,846,000 ფ., მიღებულია გადაქაჩვიდან 378,000 ფ., გაწმენდილია 1 მილიონ 62,000 ფუთი. ბურღვაზე საშუალოდ მუშაობდა დღიურად 173 დაზგა, 10 დღის განმავლობაში გაბურღულია 660 საჟ.

ბირჟაზე

ბაქო. 15 მაისი. რადგანაც განზრახულია ყველა სამეურნეო ორგანოების ანგარიშების ჩერვონცებზე გადაყვანა და ამის გამო ბირჟის ოპერაციების და ანგარიშების რეორგანიზაცია, ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით საქონლის—საფონდო ბირჟა დროებით დაიხურა. ეხლა კურსს აწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არსებული საგანგებო კომისია.

სომხეთი

სრულიად რუსეთის გამოფენაზე

ერევანი. 16 მაისი. სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე სომხეთის განყოფილების სამხატვრო ნაწილის გამგებლობისათვის, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან მოწყობილია სამხატვრო კომისია აკადემიკ გამანიანის და მხატვრებ სარიანის, კოჯაიანის და ახიკიანის მონაწილეობით.

პროფკავშირთა ყრილობა

ერევანი. 14 მაისი. სომხეთის პროფკავშირთა ყრილობას მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ოვსეპიანის მოხსენება საორგანიზაციო საკითხებისა და მომავალ მუშაობის შესახებ.

რიგს გარეშე მოხსენებით გამოვიდა ამხ. იზმაილოვი, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა საბჭოთა მთავრობისათვის ინგლისის მიერ ნოტის წარდგენის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის ამბავი. ერთხმად მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია კაპიტალის მტაცებლურ მოქმედების წინააღმდეგ.

განათლების მუშათა ყრილობა

ერევანი. 16 მაისი. 16 მაისს ერევანში გაიხსნა განათლების მუშაკთა კავშირის ერევნის ყრილობა. კავშირის მუშაობის ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ტერ-გრიგორიანმა.

პარტიული ცხოვრება

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პასუხისმგებელ მუშაკებს, რომლებიც თვეში იღებენ 75 საქონლის მანეთზე მეტს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის ფინანსიურ ქვე-განყოფილებაში რეგისტრაციაში გასატარებლად.

რეგისტრაცია სწარმოებს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იმ ამხანაგების გვარები, რომლებიც რეგისტრაციაზე არ გამოცხადდებიან, გადაეცემა საკონტროლო კომისიას.

ტფილისის კომიტეტის პასუხისმგ. მდივანის აგ. რუბენი.

— იმ ამხანაგების საყურადღებოთ, რომელთაც არ გაუვლიათ 1922 წლის მეორე წმენდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია ამით აუწყებს, რომ **უკანასკნელ ვადათ პერსონალური გაწმენდის გასავლელათ დანიშნულია 15 ივნისი.**

იმათ, ვინც განცხადებები შემოიტანა, წინადადება ეძლევა წინდაწინვე მოიმზადონ სათანადო დოკუმენტები, მაგალითად: ანკეტა, ავტობიოგრაფია, ორგანიზაციების შუამდგომლობა, რეკომენდაცია და მოწმობა წმენდის არ გავლის მიზეზების შესახებ.

ცენტრალური საკანტროლო კომისია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. აკოპოვს არტემს და გეველია დიმიტრის სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ სასტატისტიკო სააღრიცხვო ქვე-განყოფილებაში.

თბილისის კომიტეტის სასტატ.-სააღრ. ქვე-განყ. გამგე **მულფოვიჩი.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომუჯრედში.

სახ. უნივერსიტეტის კომუჯრედი, როგორც შემადგენლობით, ისე ღირსებით შეიძლება მთელ თბილისში ერთ საუკეთესო კომუჯრედათ ჩაითვალოს. ეს აიხსნება მით, რომ კომუჯრედში თავს იყრის ერთის მხრივ უნივერსიტეტის სტუდენტობა და მეორე მხრივ მუშათა ფაკულტეტის მსმენელი მუშა-კომუნისტებიც. კომუჯრედში სამაგალითო წესრიგი და პარტ. დისციპლინა არის დაცული. მასში ირიცხება 75 წევრი, აქედან ქალები 10, ვაჟები 65; სოციალურ შემადგენლობით: ინტელიგენტი 30, მუშა 26 და გლეხი 19.

უჯრედის ბიურო იკრიბება კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით, საერთო კრება კი ხდება პარასკეობით რეგულიარულათ. 1 იანვრიდან 1 მაისამდე ბიუროს ჰქონდა სხდომა 13, საერთო კრება შესდგა 15-ჯერ, მათ შორის 4 ღია კრება იყო. კრებაზე ირჩევა რაიკომის მიერ წამოყენებული საკითხები და აგრეთვე თვით უნივერსიტეტის და მუშფაკის შინაურ ცხოვრებაში წამოჭრილი საკითხები. უჯრედი მუშაობს უპარტიო მსმენელთა შორისაც კომუნისტური იდეების გასავრცელებლათ. დაარსებულია მუშფაკში 3 პოლიტიკური წრე და უნივერსიტეტში კი შუა ტიპის მარქსისტული წრე, ტარდება ცხოვრებაში უპარტიო მასასთან ინდივიდუალური დაკავშირება, რისთვისაც გამოყოფილია 24 ამხანაგი. კომუჯრედი შეძლების დაგვარათ ხელმძღვანელობას უწევს და დახმარებას აძლევს უნივერსიტეტის და მუშფაკის ახ. კომკავშირის ახალგაზრდობას. მეორე რაიკომის მიერ კომუჯრედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული [illegible]

ტფილისის პროლეტარიატის პროტესტი

ავჭალის მუშები პროტესტს უცხადებენ პროლეტარიატის მტრებს.

16 ამა მაისს, დღის 12 საათზე, ავჭალის რაიონის მუშები და გლეხები თავთავიანთ დროშებით და პლაკატ-ლოზუნგებით, რომლებზედაც ეწერა: „არავითარი დათმობა ინგლისის რეაქციას", „წითელი ხიშტი თავხედურ მოთხოვნილებებს" და სხვა შეგროვდენ შუშის ქარხნის ეზოში პროლეტარულ რევოლიუციის უდიდეს ბელადის ამხ. ლენინის ძეგლის გარშემო და გამართეს საპროტესტო მიტინგი:

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციების 1-ლ რაიონის ავჭალის ქვერაიკომის მდივანი ამხ. სარკისოვი ავჭალის ქვერაიკომის სახელით მიტინგს გახსნილათ აცხადებს პირველი სიტყვა ეძლევა საქართვ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციების 1-ლი რაიონის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. გოლდბაუმს.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეებს ინგლისის მიერ საბჭოთა ფედერაციისათვის წარდგენილი ნოტა, რომელშიაც ინგლისი, სხვათა შორის, მოითხოვს ს. ს. რესპუბლიკების კავშირისაგან ინდოეთში და ინგლისის კაპიტალიზმის სხვა ქვეყნებში რევოლიუციონურ პროპაგანდის შეწყვეტას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება მეორე ლოზანის კონფერენციაზე საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლის ამხ. ვოროვსკის შვეიცარიის ფაშისტების მიერ მხეცურად მოკვლას.

ამავე თემაზე მოხსენებით გამოვიდა ქართულ ენაზე ამხ. ვ. ქავთარაძე, რომლის შემდეგაც პროტესტის საკითხებზე მოხსენებით გამოდიან მთელი რიგი ადგილობრივ და ჩამოსულ ამხანაგებისა.

მიტინგზე დამსწრეები აღფრთოვანებით შეხვდენ გამოსულ ორატორებს და ერთხმად მიიღეს შემდეგი საპროტესტო რეზოლიუცი:

„მოვისმინეთ რა ამხ. გოლდბაუმის, ქავთარაძის და სხვების მოხსენებები, ავჭალის რაიონის მუშების და გლეხების მიტინგი აღშფოთებას გამოსთქვამს ს. ს. რ. კავშირის დიპლომატიურ წარმომადგენელის ამხ. ვოროვსკის მოკვლისა და ინგლისის თავხედურ ნოტის გამო, რომელიც მიმართულია რუსეთსა და ინგლისის შორის დამყარებულ შეთანხმების დარღვევისა და ინტერვენციის მოწყობისაკენ ს. ს. რ. კავშირის მშრომელთა დამონავების მიზნისათვის. მიტინგი ფიქრობს, რომ ინგლისის კონსერვატორების თავხედურ განზრახვებს წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. არავითარი დათმობა ოქტომბრის რევოლიუციის პოზიციებიდან.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მთელი ძალები მიმართულია დანგრეულ მეურნეობის აღდგენისაკენ, მათ მშვიდობიანი ცხოვრება სურთ, მაგრამ ისინი მზად არიან ყოველ წუთს აჩვენონ თავისი ძალა და დაიცვან საბჭოთა რესპუბლიკების უდავო ინტერესები. ძირს ინგლისის იმპერიალიზმი გაუმარჯოს ს. ს. რ. კავშირის მშრომელთა შეერთებულ წინააღმდეგობას. გაუმარჯოს მშრომელთა ბელადს - კომუნისტურ პარტიას".

მიტინგის შემდეგ დამსწრეებმა სოფ. ქვედა ავჭალის ქუჩებში მოაწყვეს საპროტესტო მსვლელობა დროშებითა და პლაკატებით.

კვირას, 13 მაისს, წყალსადენის თეატრში, წარმოდგენის დაწყების წინ, მოწყობილ იქნა საპროტესტო მიტინგი და გამოტანილ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია.

მიტინგზე საპროტესტო სიტყვებით გამოვიდენ საქ. კომპარტიის ავჭალის ქვერაიკომის მდივანი და კომუნ. ახალგ. კავშ. ავჭალის ქვერაიკომის მდივანი. დამსწრე საზოგადოება ძალიან აღელვებული იყო ინგლისის და ფაშისტების თავხედურ მოქმედებით.

მშრომელი ნიკალ.

ხელმძღვანელად დანიშნულია ამხ. ყურულაშვილი, რომელსაც სამწუხაროთ არავითარი კავშირი არა აქვს მასთან და ვერავითარ მონაწილეობას უჯრედის მუშაობაში ვერ ღებულობს.

ყველა კამპანიები და საკითხები, რომლებიც წამოჭრილიყვენ საერთო პარტიულ მუშაობაში მხურვალე გამოძახილს პოულობდენ კომუჯრედში. მომავალში ეჭვი არ არის, რომ კომუჯრედის მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება და გაძლიერდება.

გ. ლაფანაშვილი.

პარტიული მუშაობა შორაპნის მაზრაში აპრილში.

ორგანიზაციული მუშაობა. შორაპნის სამაზრო ორგანიზაცია აერთებს 53 კომუჯრედს, 33 თემკომს, 5 რაიონს და 560 წევრს. ჭიათურის რაიონში არსებობს რაიპარტკომი, რომელიც ხელმძღვანელობს მუშაობას რაიონის მასშტაბით როგორც ჭიათურის ქალაქის ორგანიზაციის, აგრეთვე თემკომებსა და უჯრედებს ამ რაიონში. დანარჩენ რაიონებში შემოღებულია ინსტიტუტი რაიინსტრუქტორებისა. პარტიული დაყოფა თემებისა შეესაბამება ადმინისტრატიულს.

პარტდისციპლინა საანგარიშო თვეში საგრძნობლად გაძლიერდა. საერთოდ მუშაობას ეტყობა გამოცოცხლება. პარტიული აპარატების გადახალისებისა და სხვა ზომების საშუალებით მუშაობის ნორმალური წარმოების შედეგია ის, რომ პარტკომში ბლომათ შემოდის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ უპარტიო გლეხებისაგან და ამ მოვლენას კი აქვს მასიური ხასიათი.

მაზრაში მუშაობის მეტი ნაყოფიერებისათვის პარტკომისა და მისი პრეზიდიუმის წევრები თითქმის ყოველ კვირაში აწყობდენ ორგანიზაციების შემოვლას, სადაც ისინი ეცნობოდენ ახლო ადგილების მუშაობის მდგომარეობას და მოთხოვნილებებს.

აპრილის 20—21 რიცხვებში სამაზრო პარტკომის მიერ მოწყობილ იქნა თათბირი თემკომების მდივნებისა, რაიინსტრუქტორებისა და ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებისა, თათბირის მიზანს შეადგენდა წარსული მუშაობის ჯამის გაკეთება, დაშვებული დეფექტების გათვალისწინება და საერთოდ მუშაობის გაუმჯობესება, როგორც პარტიულ, აგრეთვე საბჭოთა აღმშენებლობაში.

ყველა წამოჭრილ საკითხებზე სწარმოებდა ხანგრძლივი კამათი, რის შემდეგ გამოქონდათ სათანადო რეზოლიუციები; საერთოდ თათბირს ქონდა საქმიანი ხასიათი და გადასჭრა ბევრი პრაქტიკული საკითხები, მაგ. შორაპნის მაზრისათვის ცენტრად აღიარებულ იქნა ყვირილა, მიღებულ იქნა პარტკომის მიერ გამომუშავებული გეგმა უპარტიოთა კონფერენციების მოწყობის შესახებ, რაც ნაწილობრივ უკვე ტარდება ცხოვრებაში და სხვა.

ცეკასაგან მიღებული ცირკულიარები—გაზაფხულის თესვის კამპანიის შესახებ, საერთო სამოქალაქო გადასახადისა და 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის შესახებ ჯერ ირჩეოდა პარტკომის პრეზიდიუმის სხდომაზე და შემდეგ ტარდებოდა ცხოვრებაში. რაც შეეხება ცირკულიარების ცხოვრებაში გატარების შედეგებს—უნდა ითქვას, რომ სამივე ჩატარდა სრულიად დამაკმაყოფილებლად (საერთო სამოქალაქო; გადასახადის აკრება ჯერ არ დამთავრებულა და თუ რაიმე ობიექტიურ პირობებმა ხელი არ შეუშალა მალე 100 პროც.-ით აიკრიბება), მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ერთი მათგანი—სახელდობრ ახალგაზრდობის ჯარში გაწვევის შესახებ; მისაღებ პუნქტებში ბლომათ ცხადდებოდენ არა თუ ვისაც გაწვევა ეხებოდა, აგრეთვე ისენიც, რომელთაც ჯერ გაწვევა არ უწევდა და თხოულობდენ წითელ არმიაში ჩარიცხვას. ეს მოვლენა ჩვენ მიგვაჩნია, საუკეთესო დამამტკიცებლათ და მჭერმეტყველ მღაღადებლათ იმისა, თუ როგორი ავტორიტეტი დაუმსახურებია საბჭოთა ხელისუფლებას უპარტიო მასის თვალში და როგორ ესმის იმავე მასას თავისი მთავრობის მოწოდება.

(დასასრული იქნება).

პარტიული მუშაობა ახალციხის მაზრაში აპრილში.

(დასასრული. იხ. გაზ. „კომ." № 110).

ახკომკავშირი. კომკავშირი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მნიშვნელოვან კამპანიების ჩატარებაში, როგორიც არის ჯარში გაწვევა, საერთო სამოქალაქო გადასახადის შეკრება და სხვ. აღსანიშნავია ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენა, რომ ორი კომკავშირის წევრი, როდესაც ისინი საექიმო კომისიამ სცნო უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, დაჟინებით მოითხოვდნენ მათ მიღებას, რამაც დიდი ფსიხოლოგიური გავლენა იქონია სხვა გასაწვევ ახალგაზრდებზედ. კომკავშირის წევრები გამოდიოდნენ კომკავშირისავე სახელით და მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას ფხიზლად და შეგნებულად წასულიყვენ წითელ არმიის რიგებში. დაახლოვებით ასეთივე მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის წევრებმა საერთო სამოქალაქო გადასახადის აკრებაშიაც.

კომკავშირის კლუბი თავისი წრეებით მუშაობს საკმაო წარმატებით ტეხნიკური უცოდინარობა მოსპობილია 100 პროც. პოლიტიკური—50 პროც., ცოტა უფრო სუსტათაა საქმე მაზრაში.

პროფკავშირებში. მუშაობა მიმდინარეობს ძველი წესით, მხოლოდ ცოტა გაუმჯობესება ეტყობა, განსაკუთრებით ს. პ. კ. ახალი რწმუნებულის არჩევის შემდეგ; ამ ცოტა ხნის წინეთ განხილულ იქნა საკითხი პროფკავშირების ყველა წევრების კოოპერატიულ მუშაობაში ჩასაბმელად, მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოებაში წევრად ჩაწერის გზით.

პარტიის ისტორია

პლეხანოვის არქივი.

საზღვარ-გარეთიდან მოსკოვში ჩამოსულმა, „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ამხ. ლ. დეიჩმა „როსტას" თანამშრომელთა საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:

ერთი წლის წინად პარტიის ისტორიის კომისიის დავალებით მე გავემგზავრე პარიზში პლეხანოვის არქივის, რომელიც დარჩა პარიზში, გამოსაკვლევათ და დასამუშავებლად. არქივში მე ვნახე მრავალი ძვირფასი და მდიდარი მასალა, როგორც პლეხანოვის პირადი ცხოვრების დასახასიათებლად, ისე ჩვენი და საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობის ისტორიისათვის. პლეხანოვის არქივის უმთავრეს სიმდიდრეს წარმოადგენს დიდი კორესპონდენცია უცხოეთის და რუსეთის მრავალ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან, როგორც ლენინი, მარტოვი, ზინოვიევი, ბებელი, ლიბკნეხტი და სხვა. თავისთავად ცხადია, რომ პლეხანოვის ბევრ კორესპონდენტებთან თავის მხრივ შენახულია მისი წერილები, რომლებიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, გადაეცემა პარტიის ისტორიის კომისიას და ხელს შეუწყობენ რუსეთში მარქსიზმის საფუძვლის ჩამყრელის, პლეხანოვის პიროვნების დაწვრილებით გამორკვევას.

პარიზში ხუთი თვით ყოფნის დროს მე ძლივს მოვასწარი ზერელეთ გადამეთვალიერებია და გამენაწილებია კატეგორიებათ აღმოჩენილი მასალები. ამ მასალების ნაწილით მე გავემგზავრე ბერლინში, სადაც მუშაობის პირობები უკეთესია და შეუდექი მათ დამუშავებას. დამუშავებულ მასალების ნაწილი უკვე გადაუგზავნე ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლიუციას", დანარჩენი თან ჩავიტანე დასამუშავებლათ.

უმეტესი და მნიშვნელოვანი ნაწილი პლეხანოვის არქივისა დარჩა პარიზში მის ქვრივთან. იმ მასალებს გარდა, რომლებიც უშუალოდ ეხებიან პლეხანოვს, მე არქივში სიამოვნებით ვნახე მრავალი მასალა, რომელიც მასთან დაგვიტოვებია სხვა და სხვა დროს ვერა ზასულიჩს და თვითონ მე ჩვენ არალეგალურ გამგზავრებისას რუსეთში მეფის მთავრობის დროს. აქ მოიპოვება მრავალი მეტად ძვირფასი მასალა, როგორც მაგ. ვ. ი. ზასულიჩის მოგონებანი ნეჩაევის საქმის შესახებ, ენგელსის წერილები მასთან, პლეხანოვის და სხვ.

იმედი მაქვს, რომ მალე შევუდგები ამ სრულებით ახალ მასალების გამოქვეყნებას, ამ ჟამად, ამა წლის შემოდგომაზე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის 40 წლის შესრულების გამო მე დაჩქარებით ვამზადებ მასალებს რუსეთში ჩვენი მარქსისტული პარტიის ამ პირველი უჯრედის შესახებ; ამ მასალების ნაწილი უკვე უკვე მიცემული მაქვს დასაბეჭდათ.

გურია

გურია დიდათ განსხვავდება საბჭოთა საქართველოს დანარჩენ მხარეებისაგან. განსხვავდებოდა იგი წინადაც.

ვინ არ იცის, რომ გურული გლეხობა ჯერ კიდევ 1904—5-ს წლებში რევოლიუციის ერთ-ერთ ავანგარდათ ითვლებოდა, კულტურითა და შეგნებით გაცილებით უფრო მაღლა იდგა დანარჩენ მაზრების მცხოვრებლებზე.

გურიის მშრომელ მასსას ქირივით ეჯავრებოდა ნაციონალიზმი. სხვა მაზრები მისდევდენ გურულების მაგალითს.

დიახ, ასეთი იყო იმ დროს გურული ხალხი. მაგრამ სამაგიეროთ თურმე მისი უბედურება იმაში იმალებოდა, რომ იქ იმ თავითვე გაბატონებული დარჩა მენშევიკური პარტია, რომელმაც, როგორც მოგეხსენებათ, ბოლოს უღალატა მუშათა კლასს, შეაფურთხა სოციალიზმს და ინტერნაციონალიზმსაც, გადაეშვა შოვინიზმის ჭაობში და გვერდში ამოუდგა მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებსა და ორგულებს.

მენშევიკებმა (უმთავრესად იმათ ლიდერებმა: ნ. ჟორდანიამ და სხვებმა) ისარგებლეს რა იმ ნდობით, რომლითაც მათ ტრადიციულად ეპყრობოდა გურიის მცხოვრებნი, მთელი სამი წლის განმავლობაში ტყუილებისა და ათას გვარი თაღლითობის საშუალებით შესძლეს ხსენებული მშრომელი ხალხის საგრძნობი ნაწილის შეხედულებათა და რწმენის ისე წარყვნა და დამახინჯება, რომ ახლათ დამყარებულ ხელისუფლებას (ამ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობას) ბევრი შრომა და ენერგია დასჭირდა იმისათვის, რომ გურია ისევ ადგომოდა ძველ რევოლიუციონერ გზას, რომელზედაც იგი მიიმართებოდა ამაყათ და ქირივით ეჯავრებოდა ყოველგვარი შოვინიზმი და ნაციონალიზმი, თავად-აზნაურობა და ბურჟუა-ვაჭარი, მატყუარა მღვდლები და მისი ეკლესიები.

გახრწნილი მენშევიზმი ეგდო გურიაში და სწამლავდა მის გარშემო ატმოსფეროს. მისი დროშის ქვეშ თავი მოიყარეს საზოგადოების ნაძირალებმა. მენშევიზმი და ბანდიტიზმი ერთმანეთს შეუერთდა, ერთ და იმავე მოვლენათ გადაიქცა. ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ეს იყო უდიდესი დაბრკოლება, რადგან ნახევარზე მეტი დრო და ენერგია უნდა დახარჯულიყო მოწამლული და დასნეულებული ატმოსფერის გაჯანსაღებისათვის.

მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა აღმასკომის მუშაობას იყო და არის დღესაც მაზრის მძიმე, ეკონომიური პირობები, მისი სილატაკე, საჭირო გზების უქონლობა და სხვა; ყველა ამას უდა დავუმატოთ ადგილობრივ ჩვენი საკუთარი ძალების სისუსტე და გამოუცდელობა მეტადრე პირველ ხანებში.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ გურიის მშრომელი მასსა შედარებით სხვა მაზრების მცხოვრებლებთან თავისი შეგნებითა და კულტურით უფრო მაღლა სდგას თქო. მაშასადამე ამ ხალხში რომ ჩადგე და იმუშაო, უნდა იყო საკმაოთ მომზადებული და შეგნებული. და ეს საჭიროა არა მარტო სამაზრო ცენტრში, არამედ თემში და რაიონებშიც. ოზურგეთის მაზრა კი 40 თემიდან შესდგება. და თვითეული თემისათვის შესაფერი მომუშავე ძალების გამონახვა ჯერ-ჯერობით არც ისე ადვილი არის: არა გვყავს კადრი საკმაოთ მომზადებული ამხანაგებისა.

ძალიან დიდი ზიანი მიაყენა აღმასკომის მუშაობას და საერთოდ მთელ გურიას შარშანდელმა წყალდიდობამ, რომელმაც თითქმის სანახევროთ გააფუჭა და ააოხრა ყველაფერი, წაიღო ახლათ აგებული და ძველი ბოგები ყველა მდინარეებზე: ნატანებზე, ბახვის წყალზე, გუბაზოულზე, ბჟუჯზე და შიგ ოზურგეთში ეგრეთ წოდებულ ბაზრის წყალზე რამდენიმე უფრო პატარა ბოგები და სხვა, აი, უმთავრესათ ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც უხდებოდა და ნაწილობრივ დღესაც უხდება მუშაობა აღმასრულებელ კომიტეტსა და მის დამხმარე ორგანოებს.

უფრო წვრილმანებს აღარ ჩამოვთვლით, ვინაიდან ეს შორს წაგვიყვანდა.

ამ პირობებშიც, რაიცა არ შეიძლება ჩაითვალოს საერთო პირობებათ, აღმასკომმა განავითარა მაქსიმუმი ენერგიისა და არამც თუ შესძლო მოვლა და პატრონობა ყველა ამისა, რაც მენშევიკების მტაცებელ ხელს გადაურჩა, არამედ შექმნა, გააკეთა და ააშენა ახალიც. ის ისე გაიწაფა თავის მუშაობის პროცესში, ისე გაკაჟდა და გაფოლადდა, რომ ძალიან მძიმე პირობებშიაც კი არ შეუწყვეტია აღმშენებლობითი მუშაობა. მართალია, ჩვენ აქ არ მოგვყავს ციფრები, ვერც ყველაფრის ჩამოთვლას შეუდგებით, მაგრამ ყოველივე ეს ფაქტია. ვერავინ ვერ უარყოფს, რომ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით დაიწყო ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზის ხაზის გაყვანის საქმე და მან ხსენებულ განსაკუთრებულ პირობებში გურიის მშრომელი ხალხის დახმარებითა და მხურვალე გამოძახილით შესძლო მთელ ხაზზე მიწის სამუშაოს 90 პროც. შესრულება. ეს ბევრს ნიშნავს, ხოლო შეიძლება ბევრი ამას ვერც კი აჩნევდეს და არაფრად სთვლიდეს. ამ გზაზე ეხლაც გრძელდება მუშაობა, მას დიდი მნიშვნელობა აქვს გურიისათვის, იგი აუცილებლად უნდა დამთავრდეს წლეს შემოდგომის დასაწყისში და ამიტომ მთავრობამ ამ გზისთვის, როგორც ყოველთვის, არ უნდა დაიშუროს აუცილებელი თანხა და სხვა მასალები.

სამაზრო აღმასკომმა შესძლო წყალდიდობისაგან საშინლათ დაზიანებული ქალაქის ქუჩების და წაღებული ბოგირების აგება.

შეაკეთა შარშან ადგილობრივი სასწავლებლების ყველა შენობები, გაკეთდა ორი საჯინიბო (თავლა) მილიციის ცხენებისათვის და დიდი საყინული. საავადმყოფოსთან. აიგო ახალი დიდი სასაკლაო. დაწყებულია ტეხნიკუმისათვის დიდი შენობა, რომელიც სულ ორი თვე არის, რაც შენებას შეუდექით და ორ თვეში უსათუოთ მზათ იქნება. გადაკეთდა ადგილობრივი ეკლესია წითელ ახალგაზრდობის სახლათ და სხვა.

ამგვარ აღმშენებლობას ექცევა დიდი ყურადღება თემებშიაც. ზევრგან არის დაწყებული სახალხო სახლების შენება, მით უმეტეს ეკლესიების გაუქმების შემდეგ.

არ ჩამოვთვლი ყველაფერს, ფაქტების აღსანიშნავათ ესეც კმარა.

სწავლის საქმე გურიაში, შედარებით გასულ წელთან, ნორმალურათ მიმდინარეობს, მუშაობა ამ დარგში დამაკმაყოფილებელია. მიწის რეფორმაც გატარდა, მიწები ჩამოერთვა ყველას, ვისაც კი უნდა ჩამორთმეოდა. სასურსათო გადასახადი აიკრიფა თითქმის 100 პროც.

1901 წელს დაბადებულთა ჯარში გაწვევა ბრწყინვალეთ ჩატარდა; გამოცხადდა 100 პროც. ხალხში მოხდა დიდი გარდატეხა... გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთ. მატყუარა მენშევიკების აღარაფერი სწამთ, თვით მენშევიკები სტოვებენ გახრწნილი პარტიის რიგებს.

ბანდიტიზმისა და მენშევიზმის შავი ბლოკი გურიაში განადგურებულია. არის დარჩენილი თითო-ოროლა, მაგრამ მით უარესი მათთვის: ასე სურს გურიის მშრომელ ხალხს, მას სწყურია მშვიდობიანი აღმშენებლობა და ვინც ხელს შეუშლის, იგი მას აღარ დაინდობს, ულმობელი ხელით მიწასთან გაასწორებს.

გურიაში სრული სიწყნარეა, ქურდობასა და ძარცვა-გლეჯას ადგილი არა აქვს. დაიწყო ხვნა-თესვა, არის გვალვის ნიშნები, რაც ცოტა არ იყოს აფიქრებს მცხოვრებლებს.

დღეს, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მანუფაქტურის მიწოდებას, რაც ძლიერ აკლია მცხოვრებლებს. ცოტაა გაკეთებული, ბევრი კი გასაკეთებელი, და ჩვენც უნდა ვიმუშაოთ.

ამით ვათავებთ ამ ჟამათ გურიის შესახებ მკითხველო ბაასს. გურია საბოლოოთ შორდება გახრწნილი მენშევიზმის ლეშს, იგი თავისუფლდება მისი სიდამპლის სუნისაგან. და აქ უნდა დავეხმაროთ მას, უნდა გაუადვილოთ განთავისუფლება. ადგილობრივი ხელისუფლებაც სდგას თავის სადარაჯოზე გახურებული შანთით ხელში, რომ ძირშივე მოსწვას და მოსპოს ის, ვინც ამ შემთხვევაში გურიის მშრომელი მასსის ხელის შეშლას განიზრახავს.

ა. დოლიძე.

ეკონომიური ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული კურსის დამფასებელი კომისიის ოფიციალური კურსი.

(17 მაისი).

საბჭოთა ფულის ნიშნები... 16,500 ოქროს 10 მანეთიანი—16,700,000 ჩერვონცები (რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის ბანკნოტები)... 10,150,000, გირ. სტერლინგი (ეფექტივები)—11,000,000, გირ. სტერლინგი (ჩეკები)—10,000,000, დოლარი (ეფექტივები)—2,200,000, ოსმალური ქაღ. ლირა—1,500,000.

ვაჭრობა სპარსეთთან.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილებაში მიღებულ ცნობებით სინდიკატების საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გარჩეულ იქნა სპარსეთთან ვაჭრობის საკითხი.

სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის, რეზინისტრესტის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მოკლე მოხსენებებ გაუკეთეს საბჭოს სპარსეთთან ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ. სინდიკატთა საბჭომ დაადგინა ეთხოვოს სამრეწველო ბანკს გახსნას თავის განყოფილება ბაქოში სპარსეთთან სავაჭრო ოპერაციებისათვის კრედიტის გასახსნელად ამას გარდა საბჭომ საჭიროდ დაინახა შედგენილ იქნეს მასალები სპარსეთთან ვაჭრობისათვის შეღავათიან საიმპორტო-საექსპორტო ტარიფების შემოღების შესახებ.

ყველა სავაჭრო ოპერაციები სპარსეთთან, სინდიკატთა საბჭოს აზრით უნდა წარმოებულ იქნას მხოლოდ სინდიკატების საშუალებით, მასში ტრესტების უშუალო მონაწილეობის მიუღებლად. იმის გამო, რომ სპარსეთთან ოპერაციების უმთავრეს ნაწილს ადგილობრივ ნედლ მასალაზე გადაცვლის ოპერაციების ხასიათი ექნება, საბჭომ აუცილებლად დაინახა რომ ასეთი ოპერაციები წარმოებულ იქნეს იმ ორგანოების თანხმობით, რომელნიც დაინტერესებული არიან განსაზღვრული სახის ნედლი მასალის მიღებით.

საქონლის ბაზრის ფასები.

ყუბანის ხორბალი—1250—1300. ადგილობრივი ხორბალი 1100—1200 სიმინდი 450—500. ლობიო—800—1000. ქვამარილი—1400. თეთრი ფქვილი— 2800. ყუბანის—2400—2500 თავი შაქარი ფუთი 32 მილ. ნატეხი შაქარი 9 მ.—9 მ. 10 კაპ. კარაქი—19000. ერბო—16,800. თუშის ყველი—7500—11000. მარმალილოს საპონი—3900.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილებამ ცენტრიდან სამი ვაგონი რუსული ნატეხი შაქარი მიიღო ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისათვის.

აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს ბარჟი.

აზერბეიჯანის ნავთის სამმართველოს სახელზე ბათომში ამერიკის გემ „კონედლსზე" მოვიდა ნავთის ამომღებ მანქანების ნაწილები.

მუშკოპის ფასები.

17 მაისს.

შაქრის ფხვნილი—400 ათასი. საზღვარ-გარეთის ჩაი—6 მილ., საბჭოთა პაპიროსები—430 ათასი, აგდაშის ბრინჯი—150 ათასი, თეთრი ფქვილი—80 ათასი, ლობიო—35 ათასი, კარტოფილი—30 ათასი.

წითელ ჯარში

სამხედრო რევტრიბუნალში.

ქართულ დივიზიის სამხედრო რევტრიბუნალის მიერ იქნება გარჩეული საჯარო სხდომაზე შემდეგი საქმეები.

1) ქართულ ცხენოსან ლეგიონის წითელ არმიელის შალვა შალიკაანის, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში.

2) მე-2 ლეგიონის მე-2-ე ათასეულის მე-5 ასეულის წითელ არმიელ სარქის როსტიევის, რომელსაც ბრალი ედება მოქმედებით შეურაცხოფაში და დეზერტირობაში.

3) 1—ქართულ მსროლელ ლეგიონის წითელ არმიელ მჭედლიშვილს, ბეჟანიშვილს, ნიკილაშვილს და ამონაშვილს, რომელთაც ბრალი ედება სამხედრო წესიერების დარღვევაში შეურაცხყოფაში თავიანთ უფროსის, სამსახურის ასრულების დროს.

საავიაციო დივიზიონში.

წრეების დაარსება და მათი მუშაობა.

პოლიტიკურ წრეებში.

პოლიტიკურ წრის ხელმძღვანელნი არიან ამხ. ხანდოშკო და ბურდული, დივიზიონში არსებობს ორი პოლიტიკური წრე: ერთი ავიოდივიზიონის შტაბში და ჰაეროდრომზე.

სასპორტო წრე.

დივიზიონთან დაარსდა სასპორტო წრე, რომელიც თავის მხრივ დაიყო 4 ქვეგანყოფილებათ. წრეს ხელმძღვანელობს ამხ. ბლაგოდატინი ქვედაგანყოფილებები შემდეგია: ბოქსის, მძიმე ატლეტიკა, ფეხტოვანია და ფუტბოლი, წითელ არმიელები დიდი სიყვარულით მისდევენ წრეში მუშაობას.

დრამატიული წრე.

წრეს ხელმძღვანელობს ამხ. კალამკაროვი და გეგია. კვირაში ერთხელ იდგმება სისტემატიურად წარმოდგენები წითელ-არმიელთა მონაწილეობით.

სარევოლიუციო რეპერტუარი.

პიესები იდგმება განსაკუთრებით სარევოლიუციო და სააგიტაციო რეპერტუარიდან: „სულის მამა" ს. ერსა „წითელი ყაზარმა" და სხ.

ანტირელიგიური პროპაგანდა.

ბრწყინვალეთ ჩატარდა ანტირელიგიური სააგიტაციო დღე, გამართულ იქნა ანტირელიგიური წირვა, საღამოს გაიმართა წარმოდგენა, სადაც დადგეს პიესა „სულიერი მამა" სადაც გამოყვანილი არიან ჩვენი ქვეყნის მატყუარა-ხუცები. წითელ არმიელებზე აღნიშნული საღამოები დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

სასანიტარო საღამო.

აგრეთვე ახალ გაწვეულთათვის გაიმართა სასანიტარო საღამო. დაიდგა პიესა „ექიმთან". წაკითხულ იქნა მოხსენება მალარიის შესახებ.

სიფილიტიკის გასამართლება

აგრეთვე გაიმართა სიფილიტიკის გასამართლება, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე. სასამართლომ გამოუტანა განაჩენი: „გამოუცხადოს დამნაშავეს გაკიცხვა და გაიგზავნოს სახელმწიფო ხარჯზე სამკურნალოთ". სასურველია ხშირათ იმართებოდეს ამნაირი გასამართლებანი.

ჰლექიანის გასამართლება.

ამ დღეებში გაიმართება ჰლექიანის გასამართლება. დამნაშავის სკამზე სხედან: ჰლექიანი მუშა, რომელმაც არ გააფთხილა ოჯახობა და დაავადმყოფა მთელი თავისი ოჯახი.

სამხკომი ჩილინგირი და უფროსი მაჰავარიანი.

დივიზიონის სამხკომი ჩილინგირი და უფროსი მაჰავარიანი დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან კლუბის და წრეების მუშაობას, ამით აიხსნება მისი მუშაობის წინსვლა.

ცენტრარმკლუბში.

წარმოდგენა წითელ-არმიელთათვის.

მოწაფეთა თეატრის დრამატიულმა წრემ წარმოადგინა 12 მაისს წითელ-არმიელთათვის მხიარული კომედია „მამიდა ჩარლეია"-წარმოდგენას დაესწრო აუარებელი წითელ-არმიელნი.

საზაფხულო შენობა.

ახლო მომავალში კლუბის მუშაობა გადადის საზაფხულო შენობაში, რომელსაც ყოველნაირად ამშვენებენ და ალამაზებენ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში

(პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს ცნობებით).

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიამ თავი მოუყარა თავის ხელში მთელ სტატისტიკურ მასალას ლიკვიდაციის გეგმის დასამუშავებლათ მომავალ 5 წლის განმავლობაში. ლიკვიდაცია უნდა მოხდეს შემდეგი წესით: ჯარში გასაწვევ ასაკამდე ახალგაზრდობაში (რიგს გარეშე), პარტიის წევრებში, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირში, ქალთა განყოფილებაში, მილიციასა და პროფკავშირებში (პირველ რიგში) და შეკავშირებულ გლეხობაში და შეუკავშირებელ მცხოვრებთა შორის (მეორე რიგში).

ტეხნიკური და პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია პარტიულ და პროფესიონალურ მიმართულებით ფაქტიურათ უკვე მიმდინარეობს და ზოგიერთ ორგანიზაციებში კიდეც მთავრდება.

სერიოზული მუშაობაა საჭირო შეკავშირებულ და შეუკავშირებელ გლეხებს შორის, სადაც წერა-კითხვის უცოდინართა ათეული და ასეული ათასებია.

1914 წ. ცნობების მიხედვით საქართველოს მთელი მცხოვრებთა რიცხვი უდრის 2.090.129 სულს ორივე სქესისას. ზოგიერთ მაზრებში წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი ქანაობს 85—98,5 პროცენტს შორის. ასეთია მაზრები: ბორჩალოს, თიანეთის, დუშეთის, შორაპნის, ახალციხის, ახალქალაქის, აჭარისტანი და სხვა.

მცხოვრებთა ყველაზე მეტი რიცხვი მოდის ქუთაისის მაზრაზე (229,777 სული), ყველაზე ნაკლები თიანეთის მაზრაზე (47.402 სული).

სკოლების უმრავლესობა არის ქუთაისის მაზრაში (276), უმცირესობა შორაპნის მაზრაში (12).

წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის მაგალითად გორის მაზრაში, სადაც მცხოვრებთა ორივე სქესის რიცხვი შეადგენს 189 383 სულს, ზერელე გამოანგარიშებით (თუ გამორიცხული იქნება სკოლის წინასწარი, სასკოლო და საზღვრობითი 50 წლიდან ასაკები) თუ მივიღებთ, რომ წერა-კითხვის უცოდინართა მინიმუმი შეადგენს 25 პროცენტს, ე. ი 47 ათასს მთელს მაზრაში, საჭირო იქნება 126 სკოლა წელიწადში სამი გამოშვებით, თითო გამოშვებაში 25 კაცი, ხუთი წლის განმავლობაში.

ამრიგათ თვითეულ მაზრაზე საშუალოდ თუ მივიღებთ 25.000 წერა-კითხვის უცოდინარს, 22 მაზრაში მივიღებთ 550 ათასს, რომელთა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საჭირო იქნება 1466 სკოლა ამდენივე მასწავლებლებით.

აქედან უკვე აშკარაა, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის მასიურ ლიკვიდაციისათვის საჭირო იქნება ძალების კოლოსალური დაჭიმვა და ენერგია და აგრეთვე დიდი ხარჯების გაწევა, რადგან თუ თვითეულ მოწაფეზე ვიანგარიშებთ ერთ რვეულს, ანბანის წიგნს და ფანქარს, ყოველწლიურად აუცილებელი იქნება ასი ათასი რვეული, ანბანის წიგნი და ფანქარი. ამიტომ ყველა სახელმწიფო და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც ერთი ძირითადი საკითხთაგანია საბჭოთა აღმშენებლობის.

ბინის ტარიფიკაციისათვის

დადგენილება № 12.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმისა (13 მაისი 1923 წ.).

განსამარტებლად № 2 პუნქტებისა ა და ბ „საბინაო ქირის დებულების შესახებ", რომელიც დამტკიცებული იყო ტფილისის საბჭოს მიერ 23 აპრილს 1923 წ. № 11 პრეზიდიუმი ადგენს:

საბინაო ქირის გადამხდელთა პირველ კატეგორიაში იქმნენ მოთავსებულნი მხოლოდ ის უმუშევარნი, რომელნიც სარგებლობენ სოციალურ დაზღვევით უმუშევრობისაგან, და აგრეთვე ის უმუშევარნიც, რომელნიც ითვლებიან პროფკავშირის წევრებათ, შრომის ბირჟიდან სპეციალურ მოწმობების წარმოდგენით.

აღმასკომის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

შესწორება

თფილისის საბჭოს 1923 წ. 23 აპრილის დადგენილების № 11 დამატებაში, ქალაქის განაპირა უბნების შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტში" № 102 შემთხვევით გამოშვებულია შემდეგი: **12 რაიონი დიდუბე**—პლეხანოვის პროსპექტის ბოლოდან და ტრამვაის პარკიდან დაწყებული.

საცხოვრებელ სივრცეზე ტარიფების განსაზღვრის დროს აღნიშნული რაიონი (დიდუბე) ქალაქის განაპირა უბნად უნდა ჩაითვალოს.

ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.**

აჭარისტანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა

(აპრილის თვის განმავლობაში).

დასრულდა ფაქტიური რევიზიები: რევტრიბუნალში, ნავთსადგურის საერთო კანცელარიის და სამნეო ნაწილში, აჭარისტანის სათბობ მასალის განყოფილებაში, მე-25 სანაპირო ათასეულში: ამიერ კავკასიის საგანგებო ჯარების და ჯანმრთელობის კომისარიატის ნაწილობრივი რევიზია ჯერაც არ დამთავრებულა.

რევიზიამ ყველა ზემო ხსენებულ დაწესებულებებში აღმოაჩინა მრავალი დეფექტები, რომლის აღსაკვეცათ ინსპექციის მიერ მიღებულია სასწრაფო ზომები. ბათომის სავაჭრო ნავთსადგურის რევიზიის დროს დაპატიმრებულ იქნენ, სამნეო ნაწილის გამგე ა. ბოკუჩავა და მოქ. დ. კვაჭაძე—სიყალბისა და ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, რომელთა შესახებ გამოძიება ჯერ-ჯერობით არ დამთავრებულა. განსახილველად და დასამტკიცებლად ინსპექციაში შემოვიდა ხელშეკრულებები: კომუნალური მეურნეობის განყოფილებისაგან 14, მიწად-მოქმედების კომისარიატისაგან 2, სახელმწიფო საამშენებლო მთავარ სამმართველოსაგან 4 და მთავარ მილიციისაგან 1. სულ 21 ხელშეკრულება დუქნების, ნაკვეთი მიწების, აგარაკების და ახალ ციხის გზატკეცილებზე ხიდის შეკეთების შესახებ, ყველა ხელშეკრულებები დამტკიცებულ იქმნა. შემოვიდა განსახილველად და დასამტკიცებლად აგრეთვე შემდეგი ხარჯთ-აღრიცხვანი: კომუნალური მეურნეობისაგან 5, დამზღვევ სალაროდან 3, ნავთ-სადგურიდან 1 და განათლების კომისარიატიდან 1. სულ 10.

რევიზიის წესით არსებითად განხილულია და დამტკიცებულია 6 სხვა და სხვა ხასიათების ანგარიშები შემოსული შემდეგ დაწესებულებებიდან: სათბობ განყოფილებიდან 14,424,000 მან. დამტკიცებულია უცვლელად: თამბაქოს სექციისაგან შემოსული ანგარიშები დამტკიცებულია უცვლელად ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროსაგან და განათლების კომისარიატისაგან—ორთავე დამტკიცებულია უცვლელად.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობის ანგარიში.

სატარიფო—ეკონომიური მუშაობა მუშაობის მიმართულება.

კავშირის სატარიფო საეკონომიო მუშაობა სწარმოებდა ორი მიმართულებით. ერთის მხრივ განათლების კომისარიატის ფონდების შესწავლა, მეორეს მხრივ ღონისძიება შრომის ხელფასის გასადიდებლად.

შრომის ხელფასის რაოდენობა.

იანვარში გაცემულია—9.600 კაცზე—65.625.470 000 მ. თებერვალში გაცემულია—9.600 კ. 96.485.580 000 მარტში გაცემულია 9.600 კაცზე—122.229.223.000 მ.

განათლების სახალხო კომისარიატის მეცნიერულ დაწესებულებათა და უმაღლეს სკოლათათვის მიღწეულია უმაღლესი განაკვეთი; უკანასკნელი დაახლოვებულია ისეთ განაკვეთთან, რომლის პირველ ხარისხს აქვს საქონლის ექვსი მანეთი.

სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობა.

საქართველოს ტერიტორიის სარტყელებად დაყოფის გაუქმებამ მცირეოდნად მაინც გამოასწორა განათლების 5,438 პროვინციელ მუშაკის მდგომარეობა. კავშირმა მიიღო გადამწყვეტი ზომები, რათა პროვინციის მუშაკებმაც დროულად მიიღონ შრომის ხელფასი.

გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება.

მარტში ხელმოწერილი იქნა გენერალური კოლექტიური ხელშეკრულება განათლების სახალხო კომისარიატთან. ეს ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ გატარებულა შრომის კომისარიატის რეგისტრაციაში, რადგან კავშირმა ვერ შესძლო შრომის ხელფასის პუნქტის საქონლის მანეთში გამოხატვა. მიღებულ იქნა რა მხედველობაში სახ. ფონდების მდგომარეობა, კავშირი ჯერ-ჯერობით დასთანხმდა შრომის ხელფასი გამომუშავდეს ყოველთვიურად მიცემულ ფონდებთან შედარებით, მაგრამ სახელმწიფო მინიმუმის არა ნაკლები.

შემფასებელ—საკონფლიქტო კომისიები.

ახალ სატარიფო პოლიტიკასთან და კოლ. ხელშეკრულებასთან შეფარდებით, შექმნილია შემფასებელ—საკონფლიქტო კომისიები თვითეულ ადგილკომთან.

შრომის ნორმების გადასინჯვა.

ამ ჟამად კავშირის სატარიფო—საეკონომიო განყოფილებასთან ეწყობა კომისია პედაგოგიურ შრომის ნორმის გადასასინჯავად. ამ კომისიაში შევლენ ყველა ტიპის სკოლების და აგრეთვე პროვინციის წარმომადგენლები.

საბინაო საკითხი

საბინაო საკითხის მოსაგვარებლად კავშირმა შეიტანა ს. პ. კ. ს. საბინაო კოოპერატივში საპაიო თანხა.

კავშირის წარმოების შესწავლა

ამ ჟამად სატარიფო საეკონომიო განყოფილების მთავარი ყურადღება მიქცეულია კავშირის წარმოების შესასწავლად და როგორც პედაგოგიური, ისე ტეხნიკური პერსონალის ყოფის გასაუმჯობესებლად. შრომის ინსპექციასთან ერთად ჩატარდა მთელი რიგი საბავშვო სახლების, ბაღების და თავშესაფარ უქონელთ ბავშთა კოლექტორის გამოკვლევა.

კულტმუშაობა

კულტმუშაობა ადგილებზე.

გამგეობის კულტგანათლების ყურადღება უმთავრესად მიექცა ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობის გამორკვევას და მათთან კავშირის დაჭერის საქმეს. აღნიშნული გზით კულტმუშაობა ადგილებზე საგრძნობლად გამოცოცხლდა.

კულტმუშაობის ძირითადი მიმართულება და ნორმები

კულტმუშაობას ძირითად მიმართულებას შეადგენს პედაგოგიურ პერსონალის პოლიტიკურად მომზადება და მისი კვალიფიციურ მდგომარეობის ამაღლება.

ამავე დროს ტეხნიკურ პერსონალთა შორის მუშაობა იკავებს ერთ მთავარ ადგილს კულტმუშაობის საერთო სფეროში.

არის ცდა განათლების მუშაკთა სახლების მოსაწყობად მაზრებში. ქუთაისში სახლი უკვე მოწყობილია.

კულტგანყოფილების ფინანსიური ბაზა

განათლების კომისარიატთან დადებულ გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულების თანახმად ც. გამგეობა იღებს განათლების მუშაკთა მთელი ხელფასის 1 პროც., რომელიც კულტგანყოფილების ძირითად ბაზას შეადგენს.

ექსკურსია

კულტგანყოფილებამ დიდი ექსკურსია მოაწყო მოსკოვში საერთო განათლების მიზნით. ექსკურსიაში მონაწილეობას იღებდენ სექციების მდივნები და პროვინციის აქტიური კულტმუშაკნი

ლიტერატურის მომარაგება

განათლების მუშაკთა სახლთან მოწყობილია წიგნების ბაზა, რომელიც ღებულობს მოსკოვიდან ლიტერატურას. ლიტერატურა ნაწილდება სამაზრო განყოფილებებსა და კერძო წევრებს შორის თვით ღირებულების ფასში.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში.

— **დახმარება ომში დასახიჩრებულთა კვირეულს.** აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ დაადგინა ომში დასახიჩრებულთა კვირეულს მიეცეს 3 დღის განმავლობაში დახმარების სახით ტრამვაის, წყლის, ელექტრონის, აბანოებ
კლასისაგან წმინდა
პროცენტი.

— **სახლის შეც**
განათ. განყოფილებ
აღმასკომის მცირე პრ
ადგინა შეიცვალოს

მუშათა ცხოვრება

დემონსტრაცია

(ინგლისის ნოტის და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო).

აღელდა ხალხი, აზვირთდა ქუჩა,
აყვირდა ზორი, შეირყა ჯარი,
ფიქრმა გონებას ჩაუჩქუჩა,
მოხდა ამბავი შესაზიზღარი!

არ გაგონილა და არცა თქმულა
დელეგატების ხელის შეხება!
კვლავ საშინელი კითხვა აღძრულა,
კვლავ საზარელი დრო იქვეხება!

ყველა მრისხანებს, ყველა კარშია,
აზრმა თავიდან შიში გაფანტა,
გულს შ'მოევლო შავი არშია:
ნუ თუ ომს იწვევს კიდევ ანტანტა?!

დღეს სახლში ვერვინ მოიკალათებს,
წინ აღუდგება ზარბაზნის ორკესტრს
და მშვიდობის მტრებს, ყველა ჯალათებს
გამოუცხადებს ზიზღსა და პროტესტს.

ქარხნის გუგუნით—ჭირთ მოზიარე
დასტოვებს უროს, აიღებს მახვილს:
ძირს ლორდ კერზონი! ძირს პუანკარე!
კიდით-კიდემდე მოჰფენს ამ ძახილს.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

პასუხი მუშებისათვის

ეს საკითხი არის საჭირ-ბოროტო საკითხი მთელი მუშათა კლასისათვის და რუსეთში მას უკვე მიქცეული აქვს სათანადო ყურადღება. ფასები ბაზარზე გიგანტური ნაბიჯით მიხტის მაღლა. მუშა-მოსამსახურეების ხელფასი ვერასოდეს სიძვირეს ვერ ეწევა. ის, რასაც ღებულობენ დღეს მუშა-მოსამსახურენი, ძლივს ყოფნის მათ მარტო საჭმელში და ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ხელფასით ჩაიცვან მათ თვითონ, ან ჩააცვან თავის ოჯახის წევრთ. მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას ტანსაცმელ-ფეხსაცმელის მხრივ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ხელისუფლება დაეხმაროს მათ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ და შეუწყოს ხელი მათ შემოსვას. ამიერ-კავკასიაში და კერძოთ კი საქართველოში ამ მიმართულებით ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა. ეს საკითხი კი არის ძლიერ საგულისხმო და საჭირო იყო მისი მუშათა ფართო მასსის მიერ სასწრაფოდ გადაჭრა, ვინაიდან დრო არ ითმენს და მუშა-მოსამსახურენი თავის ოჯახის წევრებით იმყოფებიან სრულიად გატიტვლების საშიშროების ქვეშ.

„ზარია ვოსტოკა"-ს მე-221 №-ში იყო მოთავსებული წერილი ამ საკითხის შესახებ, სადაც ავტორი სწერს, რომ მუშათათვის ინდივიდუალური ნისიობა შეუძლებელია, ნისია მიეცემათ ჯგუფებს, დაწესებულებებს, ანუ წარმოებების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის ქვეშ, ეს უკანასკნელნი სდებენ სამეურნეო ორგანოებიდან სათანადო ხელშეკრულებებს.

ასეთი წესი კი მიუღებელია როგორც მუშა-მოსამსახურეებისათვის, ისე ადმინისტრაციისათვისაც, და აი რატომ:

თვით სიტყვა: „ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის ქვეშ", გულისხმობს იმას, რომ ვითომდა მუშებს არ ენდობიან. ხელშეკრულებების პრინციპი კი ავალებს მუშებს, შეიძინონ საჭირო საგნები მხოლოდ მასთან, ვისთანაც ხელშეკრულება დადებულია.

სხვა და სხვა გამოკლებები კი მუშა-მოსამსახურეების ჯამაგირიდან ზედმეტ ტვირთად აწვება ისედაც მიმდინარე სამუშაოებით საკმაოდ დატვირთულ დაწესებულებათ და იწვევს ზედმეტ მიმოწერას.

მუშა-მოსამსახურეების ნისიაობა მთლიანად უნდა დაეკისროს კოოპერ. და ტრესტებს. უკანასკნელთ კი უნდა დაეკისროს, მიაწოდონ ადგილკომებს და ფაბკომებს მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო საგნები და არა ადმინისტრაციის, არამედ მუშებისავე პირადის პასუხისმგებლობის ქვეშ.

ნისიაობა უნდა იქნეს ინდივიდუალური და არა ჯგუფური და ყოველივე ხელშეკრულებების გარეშე.

ამ მხრივ ინიციატივა უნდა მიენიჭოთ თვით მუშა-მოსამსახურეთ და უნდა ჩაუნერგონ მათ გულში თავის არჩეულ ორგანოებისადმი სიყვარული.

ამისთვის კი და მუშების გულის მოსაგებად კოოპერატივებმა უნდა იქონიონ მხოლოდ და მხოლოდ კარგი ხარისხის საგნები და მიაწოდონ მათ ისინი ბაზრის ფასებზე 15—25 პროცენტის დაკლებით.

თუ ჩვენი კოოპერატიული ყრილობები აღნიშნავდენ, რომ მუშების ბიუჯეტიდან 30—40 პროცენტი შედის მუშათა კოოპერატივებში, კოოპერატივების მიერ მუშებზე საქონლის ნისიად გაცემის დროს, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მუშა-მოსამსახურენი მთელ თავის ბიუჯეტს მთლიანად ჩააბარებენ უკანასკნელთ, რაც გამოიყვანთ მათ სპეკულიანტების უწყალო კლანჭებიდან.

მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა ამ ბოლო ხანებში ძალიან გამწვავებულია და თითქმის აუტანელიც და დროა მუშების „ნისიაობის" საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილ იქნას რეალურად და ცხოვრებაშიც დაუყოვნებლივ გატარებული. საჭიროა, კრედიტის ჯამის, რაც შეიძლება, გადიდება და მისი გადახდის ვადის გაგრძელება.

მუშა—გ. ქან—შვილი.

მუშურ-გლეხურ მილიციის ცხოვრებიდან.

მილიციაში სწარმოებს გადაჭარბებული საათებით მუშაობა, მაგრამ არ არის ანაზღაურებული ზედ-მეტი ნამუშევარი. მაგალითად, მეორე რაიონის მილიციონერებს, რომელთაც „პოსტზე" განუწყვეტლივ უხდებათ 8 საათით დგომა,—იმავე დღეს,—საღამოობით უხდებათ მორიგეობა 4 საათით საოპერო და დრამატიულ თეატრებში, ესე იგი, მილიციონერი სრული თორმეტი საათი ძალიან ხშირად დგას შეუსვენებლივ თავის სადარაჯოზე.

აგრეთვე ზედმეტი საათებით მუშაობა მიმდინარეობს თვით მილიციის სამმართველოებში; მაგალითად, მეორე რაიონის მილიციის სამმართველოში, სადაც მუშაობა გრძელდება ყოველ დღე 4 საათამდე.

ზემოდ აღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებთ შრომის დაცვის ორგანოებს, რათა დასახელებულ მოსამსახურეთ ყოველი ზედმეტი საათების ნამუშევარი—სასწრაფოდ აუნაზღაურდეს.

ინჟ. კორ. ჩხმელი.

მელითონეებში.

1923 წ. 15 მაისს შე'დგა მეჩ-ე ავტო-სახელოსნოში დაარსებულ მელითონეთა კლუბის ახლად არჩეულ გამგეობის პირველი საორგანიზაციო სხდომა. თავმჯდომარეობდა—ამხ. ვიდიორკო, მდივნობდა—ელიაშვილი. გამგეობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) პრეზიდიუმის არჩევნები, 2) გამგეობის წევრთა შორის ფუნქციების და მუშაობის განაწილება; 3) საღამოს მოწყობა კლუბში; 4) ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საკითხი.

გამგეობამ პრეზიდიუმში აირჩია ამხ. ი. ელიაშვილი, ვ. ზაკატოვი და ვ. ელიზაროვი.

კლუბის გამგედ არჩეულ იქნა ვ. ზაკატოვი, ადმინისტრატიული ნაწილი ჩაბარდა—ამხ. ელიაზაროვს, სამხატვრო ნაწილი მიენდოთ: ამხ. ელიაშვილს, ზაკატოვს და ვიდიორკოს, სამნეო ნაწილი მიენდო ამხ. კრავცოვს.

გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ერთხმად ამხ. ი. ელიაშვილი. მეორე საკითხად სხდომის მიერ მოსმენილ იქნა კლუბის ფინანსიური მდგომარეობა. ვინაიდან კლუბს არავითარი სახსარი არ მოეპოვება გარდა იმ 30 მილიონისა, რომელსაც აძლევს ერთდროულად ს. მ. უ. ს. ლითონის განყოფილება, გამგეობამ გადასწყვიტა ამავე კლუბში მისი (კლუბის) ფონდის გასაძლიერებლად 2 ივნისს გაიმართოს დიდი საღამო (ფასიანი), რომლის წმინდა შემოსავალი გადაეცეს დანიშნულებისამებრ კლუბის სალსრის გასაძლიერებლად; საღამო გაიმართოს შემდეგი პროგრამით: 1) წარმოდგენა ქართულ და რუსულ ენაზე; 2) კონცერტი და სხვა და სხვა გასართობები.

შემდეგ ამისა მოსმენილ იქნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საკითხი.

გამგეობამ დაადგინა: მიენდოს ამხ. ვ. ზაკატოვს და ფილკოვს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოწყობა და მოწესრიგება კლუბთან.

მელითონე.

მუშათა ქრონიკა.

ჩვენი მუშები იჩენენ კლასიურ თვითშეგნებას.

— ამ დღეებში, პირველ სახელმწიფო კოლოფის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზედ გააკეთა მოხსენება ფაბკომის პასუხისმგებელ მდივანმა აგარაკების და დასასვენებელ სახლების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მთავრობას არ ძალუძს მარტო თვითონ გასწიოს ეს უზარმაზარი ხარჯები, ამისათვის არის საჭირო—თვით მუშების დახმარებაც. საერთოდ კრებამ ერთხმად დაადგინა გადასდოს ერთი დღის ხელფასი ამ მიზნისათვის, რითიც ჩვენმა მუშებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს—თვისი კლასიური თვითშეგნება.

მეკოლოფეთა საღამო.

— მიმდინარე წლის 9 მაისს მეკოლოფეთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კლუბში გაიმართა საღამო. საღამოზე დადგმული იქნა რუსული რევოლიუციონური პიესა და სომხური კომედია: „ზულკეთილი მაგიდის ქვეშ" ამ კომედიამ ჩამოაგდო მუშებში მხიარულობა მთელ საღამოს განმავლობაში. წარმოდგენის შემდეგ ჩვენმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე სიმღერები, რამაც გამოიწვია დამსწრეებში დიდი აღფრთოვანება.

დორფის სახელწოდება და დაერქვას: ლიბკნეხტისდორფი.

— **დავრდომილ ქალთა თავშესაფარი.** წინადადება მიეცა ჯანმრთელობის განყოფილებას მიიღოს ორთაჭალაში არსებული დავრდომილ ქალთა სახლი თავის მფარველობაში და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს მის შესანახათ საჭირო ხარჯთ აღრიცხვა.

— **მიწის რეფორმის გასატარებლად.** საადგილ-მამულო განყოფილებას—მაზრაში აგრარულ რეფორმის გასატარებლად მიეცა—სესხის სახით 100 მილიონი მანეთი, წინადადებით, რათა მიწად. მოქ. კომისარიატიდან ფულის მიღებისთანავე დააბრუნოს ფული უკანვე.

— **რესტორან „ბოგემას" დაჯარიმება.** სავალდებულო დადგენილების სისტემატიურად დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა რესტორანი „ბოგემა" 50 მილიონი მანეთით.

— **სკოლების დათვალიერება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით, უბნის ექიმებს სკოლების დასათვალიერებლად გაუდიდდათ გასამრჯელო და წინადადება მიეცა თემის აღმასკომებს აღმოუჩინონ მათ დახმარება გადასაყვან საშუალებათა მიწოდებით.

— **მანგლისის ელექტრონის სადგური.** წინადადება მიეცა ელექტრონის სამმართველოს, გამოარკვიოს მანგლისის ელექტრონის სადგურის აგების საქმე და წარმოუდგინოს სათანადო მოხსენება პრეზიდიუმს, რის შემდეგ დაკმაყოფილებული იქნება მანგლისის აღმასკომის შუამდგომლობა დახმარების შესახებ.

— **ტანთსაცმელი ცეცხლის მქრობელ რაზმს.** პრეზიდიუმმა დაადგინა ცეცხლის მქრობელ რაზმის თანამშრომლობისათვის შეძენილ იქნეს მუშათა კოოპერატივიდან ტანთსაცმელი, რომლის ღირებულება გამოირიცხება აღნიშნულ თანამშრომლებს 4 თვის განმავლობაში, ფულის შეტანის დროს არსებულ კურსის მიხედვით.

განათლების კომისარიატში.

— **გამოცდები გარეშე პირთათვის.** განათლების სახ. კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარული მოწერილობა განათლების განყოფილებებს, რომ კომისარიატთან არსებულ საბჭოს მიერ ნებადართულია წელს მოეწყოს გამოცდები გარეშე მსურველთათვის ცხოლიდ კურს დამთავრების მოწმობის მისაღებათ, შემდეგ ადგილებში: ტფილისში, ქუთაისში, სე- ოზურგეთში და თელავში.

შრომის ბირჟაში.

მევრობა. 16 მაისს აღრი- ოცხადდა 1300 უმუშევა- დედაკაცი—790, მამა- მავე დღეს ჩაეწერა— უმუშევარი, დედაკაცი— 129. სამუშაოზე გაიგ- უმუშევარი, დედაკაცი— 66.

— **უმუშევრების სამშობლოში გამგზავრება.** შრომის ბირჟამ სამშობლოში გაგზავნა დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტისაგან მიღე'ული თანხით—89 კაცი. ამათგან უმუშევარი 66, ხოლო 23 უმუშევართა ოჯახის წევრები. აღნიშნული უმუშევრები გაიგზავნენ შემდეგ ადგილებში: ომსკში, მოსკოვში, პეტროგრადში, სემიპალატინსკში და სხ.

კრებები და მოხსენებები

— კვირას, 20 მაისს, საღამოს 7 საათზე, ვაჟთა პირველი ტექნიკუმის შენობაში (გუნიას ქ. № 46) შესდგება ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი კრება, სადაც წაკითხული იქნება მოხსენებები: 1) დ. მელაძის მიერ „რუსული ენის ზოგიერთი ბგერითი მოვლენები" და 2) ბენ. ჩიქობავას მიერ „ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში". დასწრება ყველას შეუძლია.

სხვა და სხვა.

— **ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დოლიძემ აღმასკომის პლენუმის დავალებით, შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე სოფელ ურეხოსა და შემოქმედში ცემენტის დამბების ასაგებათ საჭირო თანხის გაღების შესახებ. გასული წლის წყალდიდობის დროს დასახელებულ ადგილებიდან მდინარე ნატანებმა და ბჟუჟმა გადმოხეთქეს ნაპირები და წალეკეს ირგვლივ მთელი სოფლები. მდინარე შემოიჭრა თვით ქალაქ ოზურგეთში და ერთიანად გაანადგურა იგი. აღმასკომი შუამდგომლობს აგრეთვე წყალდიდობის დროს წაღებულ ნატანების და ბახვის წყალზე ბოგების აგების შესახებ.

— **დახურულ ეკლესიების რიცხვი.** უკანასკნელ ცნობით, საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში დახურულ ეკლესიების რიცხვი უდრის 700-ს. ყველა აღნიშნული რიცხვი ეკლესიები გადაკეთებულია თეატრებით, სახალხო სახლებით, ბავშვთა კლუბებით, სამკითხველოებით და სხ.

— **საკონსულტაციო კამერა.** მაისის 21 დან იხსნება 1-ლი საკონსულტაციო კამერა მშრომელ კლასისათვის იურიდიულ დახმარების აღმოსაჩენად. კამერა კონსულტაციისათვის ღია არის ყოველ დღე 10—1 ს., გარდა კვირა-უქმე დღეებისა. კამერა მოთავსებული არის სასამართლოს ქუჩაზე, სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში, ზემო სართულში.

უბედური შემთხვევაში.

— **წყალში დაღრჩობა.** გუშინ მაისის 17-ს, დილის 11 საათზე, მტკვარში ბანაობის დროს (ვერის ყოფილ ბორანთან) დაიღრჩო ტფილისის 1-ლი ტექნიკუმის მეორე კლასის მოწაფე გიორგი უგუზაშვილი.

ხელოვნება

— **სახალხო სახლი.** დღეს 18 მაისს სახალხო სახლში გაიმართება მუშა-მსახიობ გიორგი ჯაბაურის საღამო. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „№ 21 ჯგრით".

— კვირას, 20 მაისს, გაიმართება მსახიობ ალ. თავდგირის საღამო. წარმოდგენილი იქნება 1) „მსხვერპლი" (1-ლი მოქ.) და 2) „ნილაბ ქვეშ".

— **სახალხო სახლის იუბილე.** შესდგა სახალხო სახლის დაარსებიდან 30 წლის შესრულების თავზე იუბილეს მომწყობი კომიტეტი. კომიტეტის პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემადგენლობით: გ. ყურულაშვილი, კ. მაყაშვილი, ივ. გომართელი, ს. ახვლედიანი, დ. კლდიაშვილი, გ. ლასხიშვილი, გრ. რობაქიძე და ნ. ნაკაშიძე. შემდეგ არჩეული იქნა სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დაევალა შესაფერ შინაარსის წიგნის გამოცემა სახ. სახლის შესახებ. აგრეთვე არჩეული იქნა სამხატვრო კომისია და საფინანსო კომისია.

— **რუსთაველის თეატრი.** შაბათს, რუსთაველის თეატრში გაიმართება რეჟისორების თანაშემწეების გველესიანი და ანთაძის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება შილერის ყაჩაღები.

რუსთაველის თეატრში. მზადდება გოფანსტალის „ელექტრა" წარმოდგენილი იქნება 29 მაისს. ელექტრას როლს შესრულებს ან. აბელიშვილი.

პროვინციაში

გორის მაზრა.

გორის მაზრის მუშათა და გლეხთა მილიცია.

მუშურ-გლეხური წითელი მილიცია თავდადებულად იბრძვის მშრომელი ხალხის მტრებს, ყოველივე ბოროტმოქმედება მოლესილი მახვილით იჭრება ძირშივე.

გასულ წელს გორის მაზრაში ფრთები ჰქონდა გაშლილი ბანდიტიზმს, ძარცვა-გლეჯას და ქურდობას, რაც დიდად უშლიდა ხელს მაზრის ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას. დღეს ამგვარი არა სასურველი მოვლენები ძალიან იშვიათია, რადგანაც მილიციის მხრით დროზე ყოფილა მიღებული უკიდურესი, ენერგიული და გადამჭრელი ზომები ბანდიტიზმის სრული ლიკვიდაციისათვის.

გორის მაზრის მილიციას გასულ წელს თავისი მრავალ-ფეროვანი ადმინისტრატიული მოვალეობის ასრულებაში და კერძოდ ბანდიტიზმთან, ყაჩაღებთან და ქურდ-ბაცაცებთან ბრძოლაში გამოუჩენია დიდი უნარი და ენერგია. და ამ დარგში მილიციის მუშაობას მოუტანია ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი და სასურველი ნაყოფი.

სწორეთ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსნი არიან გორის მაზრა-ქალაქების მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის მთელი შემადგენლობა და მისი სამაგალითო უფროსები იმ წესრიგისათვის, დისციპლინისათვის და სამსახურისადმი შეგნებული დამოკიდებულებისათვის, რომელიც არსებობს აღნიშნულ მილიციაში.

სწავლა განათლების და პოლიტიკური აღზრდა-განვითარების საქმეც სასურველ ნიადაგზეა დაყენებული, მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან მილიციაში არსებობს მილიციელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რომელშიაც მეცადინეობს „80 მდე" თანამშრომელი. დაქირავებულია განსაკუთრებული მასწავლებელი, მეცადინეობა სწარმოებს რეგულიარულად. მილიციის თანამშრომლები ბეჯითად და მხნედ ეკიდებიან წერა-კითხვის შესწავლის საქმეს.

სამაზრო აღმასკომი და პარტკომის პოლიტ-განათლების განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევენ მილიციის სკოლას და ღებულობენ ყოველივე ღონისძიებას და საშუალებას მილიციის თანამშრომელთა შორის სწავლა-განათლების და პოლიტიკური აღზრდა-განვითარების გასაძლიერებლათ, აწოდებენ მას გაზეთებს, წიგნაკებს, ჟურნალებს და სკოლისათვის ყოველივე საჭირო საგნებს, უწევენ აგრეთვე დახმარებას ფულით და სხ... მაგრამ ეს არა კმარა, მოთხოვნილება დიდია, საჭიროა უფრო მეტი დახმარება. სკოლასთან არსებობს აგრეთვე მომღერალთა ჯგუფი, დაქირავებულია სიმღერა-გალობის მასწავლებელი. მომღერალ თანამშრომლებს კარგათ აქვთ შესწავლილი „ინტერნაციონალი" და ბევრი სხვა რევოლიუციონური და სამხედრო სასიმღერო ლექსები. სწარმოებს აგრეთვე რეგულიარულად პოლიტიკური მეცადინეობა, ხშირათ იმართება ლექციები, საერთო კრებები და სხ. გორის სამაზრო მილიცია შეგნებულად შეხვდა მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულს პირველ მაისს, წესიერათ ჩაატარა პროლეტარული სოლიდარობის და ძლიერების გამომხატველი დღესასწაული.

მილიციის შეფმა, გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ი. რუხაძემ დღესასწაულის ჩასატარებლად შემოსწირა მილიციის ფულად, საქონლით და სხ. 80.000.000 მ. ამ შემოწირულებით მილიციამ გამართა საზეიმო სადილი, რომელზედაც მიიწვია ყველა საბჭოთა დაწესებულებების და პარტიული ორგანოების წარმომადგენლები. სამაზრო მარქაფში გაიმართა მიტინგი, წარმოითქვა სიტყვები, რომლითაც აუხსნეს მილიციას პირველი მაისის დღესასწაულის მნიშვნელობა. დასასრულ იქნა გახსნილი მილიციის სამკითხველო პირველ მაისის სახელწოდებით. მილიციის საერთო ეკონომიური მდგომარეობა აუცილებლად თხოულობს გაუმჯობესებას. იგი იღებს მეტად მცირე ჯამაგირს და იმასაც ვერ იღებს თავის დროზე, და ეს კი ხელს უშლის მუშაობის ნორმალური კალაპოტში ჩაყენებას. საზოგადოთ აღსანიშნავია, რომ მიუხედავად მრავალ-მხრივი დაბრკოლებისა, მილიცია სწორ გზაზე სდგას და იგი შეძლებისა დაგვარად, ანხორციელებს საბჭოთა მთავრობის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ჟ.—ნი.

დარჩელის უბანი (ზუგდიდის მაზრა).

დარჩელის უბანი მდებარეობს ზუგდიდის მაზრის ჩრდილო დასავლეთით და ეკვრის შავ ზღვას. ამ უბანში ერთად ერთი პატარა დაბაა—ანაკლია, რომელიც ძევს მდ. ინგურის შესართავში; უხსოვარ დროიდან ჩვენ დრომდე ეს ერთად ერთი ნავთსაყუდელია, საიდანაც მთელი მაზრის ავლადიდება გააქვთ საზღვარ-გარეთ და შემოაქვთ იქიდან ჩვენთვის საჭირო ნივთები და საგნები.

უბანში შემავალი თემებია: დარჩელი, კოკი, ანაკლია, დიდი—ნეძი, ორულუ-ერგეტა და ცაიშის კახათი; ამათში თერთმეტი ეკლესია იყო, იმათგან ერთიც თურქების „ჯამე" დაბა ანაკლიაში.

განვლილ აპრილში ამ რაიონში მოხდა ეკლესიების გაუქმება.

საქმე დაიწყო დარჩელის თემიდან, სადაც 3-ს აპრილს შესდგა გაფართოებული მიტინგი. მას დაესწრო მთელი უბნის კომუნისტურ ორგანიზაციის და კომ-კავშირის ყველა წევრები, ცაიში-კახათის და დარჩელის შრომის სკოლების მასწავლებლები და მოწაფეები, აგრეთვე აუარებელი ქალ-ვაჟი, დიდი და პატარა, **ლენინის** მოედანი გაჭედილი იყო ხალხით; ტაროსიც კარგი დაგვიდგა.

შემავალი საბავშვო ბაღის მოედანზე მორთულია ტრიბუნა წითელი დროშებით, სხვა და სხვა ლოზუნგებით და ზედ ღრმაა ისეთი ხავერდით გადაკრული—ნამგალ ჩაქუჩისა.

მიტინგს ხელმძღვანელობდენ უბნის ორგანიზატორი ამხ. პ. მეფორია, უბნის მილიციის უფროსი ვ. შოგირაძე და მისი ამხანაგი ავქსენტი შონია; უკანასკნელი შეიარაღებული ძალის ხელმძღვანელი იყო.

ნაშუადღევს 2 საათზე ამხ. ვ. შოგირაძემ სამაზრო პარტკომის სახელით მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და მოკლე სიტყვით მიესალმა ხალხს შემდეგ პირველად მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. მეფორია დ გრძელი დასაბუთებული მოხსენება გაუკეთა ხალხს რელიგიის შესახებ; მაზრიდან პარტკომის სახელით, რელიგიის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ჯინქოლიამ; ბოლოს იმავე თემაზე დასაბუთებული მოხსენება გააკეთა იოსე ქობალიამ.

მიტინგის დასრულებისას და რეზოლიუციის გამოტანის დროს ნამდვილი ქუხილისებური ხმით, დაიგრიალა ხალხმა: ძირს სარწმუნოება, ძირს ღმერთი, ძირს სამღვდელოება და გაუმარჯოს მეცნიერებას!

მიტინგი დაიძრა ადგილობრივი საყდრისაკენ. პროცესიას წინ მიუძღოდა წითელი დროშით ხელში სამოცი წლის მცხოვანი ადგილობრივი მკვიდრი კომუნისტი.

პროცესია მიადგა საყდარს, ეკლესიის გუმბათიდან [illegible] და ზედ მის ადგილზე ააფრიალეს წითელი დროშა—ემბლემა ჩვენი სულიერად და ხორციელად განთავისუფლებისა.

ასევე ჩატარდა ეკლესიების გაუქმების საქმე სხვა თემებში და სოფლებშიაც; სახელდობრ: 4 აპრილს განარჯია-მუხურში, 5 აპრილს—ს. ჭითა წყალში და დაბა ანაკლიაში; აქ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ადგილობრივმა მკვიდრი თურქებმა ერთხმად ზიზღი განუცხადეს ყოველგვარ რელიგიას, თავის მაჰმადიანობას, მოლებს და ბოლოს საკუთარი „ჯამე"-ს შენობა სახალხო კუთვნილებად გამოაცხადეს; 7 აპრილს ორულუ-ერგეტის და დიდი-ნეძის ეკლესია დაიხურა, 15 აპრილს კოკის თემის ოთხი ეკლესია. სულ მთელ უბანში თერთმეტი ეკლესიაა დაკეტილი და გაუქმებული და ზედ წითელი დროშა დაფრიალებს.

მეშურბუმე.

ტყიბულის მუშა-მენშევიკების განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

„მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ი. ახობაძისა თანამედროვე მდგომარეობაზე, ჩვენ ტყიბულის მაღაროების მუშა-მოსამსახურენი საქ. ყოფილ ს. დ. (მენშევიკების) პარტიის წევრნი და თანამგრძნობნი დარწმუნებული იმაში, რომ ყოფილი მენშევიკური მთავრობა საქართველოში ხელს უწყობდა ევროპის ბურჟუაზიის გაბატონებას და გამარჯვებას, რომელსაც მათ შეაფარეს თავი, დღეის რიცხვიდან ვსტოვებთ მენშევიკურ პარტიის რიგებს და ამასთანავე დავსძენთ, რომ მზათ ვართ დავეხმაროთ საბჭოთა ხელის უფლებას მის აღმშენებლობით მუშაობაში მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

1) ქასრაშვილი თეოფილე.	1905 წ.
2) ქაჯაია ვასილი .	1905 „
3) გიორგობიანი ნიკოლოზ	1917 „
4) ტოტოჩია ვასილი	1917 „
5) ობილაძე იონა .	1917 „
6) ჯანელიძე ვლადიმერ	1918 „
7) სოფრომაძე დავითი	1918 „
8) კალატოზი მიხეილი	1918 „
9) გაბრიაძე პლატონ	1918 „
10) ქათამაძე ვასილი	1918 „
11) ბრეგაძე მანუილ.	1918 „
12) არსენიძე თადაოზ	1920 „
13) მარჯანიშვილი სიმონ .	1920 „
თანამგრძნობნი.	
14) ჩილინგაროვი კოსტა .	1905 „
15) ბოჭორიშვილი ბაგრატი	1917 „
16) ქასრაშვილი ბიქტორ .	1917 „
17) ქლიკაძე გალაქტიონ	1918 „
18) ქელბაქიანი ამბაკო	1918 „
19) ჩაფიძე გრიგოლ.	1918 „
20) ჭირაქაძე აპოლონ	1918 „
21) ქავთარაძე ნიკოლოზ .	1918 „
22) ჯანელიძე თამარა .	1918 „
23) კუპლაშვილი მეთოდა .	1918 „
24) ქავთარაძისა ნასტია .	1919 „
25) ბოჭორიშვილი იულო .	1920 „
26) ობოლაძე შალვა .	1920 „
27) სოფრომაძე ალექსანდრე	1920 „
28) ბოჭორიშვილი იროდი	1920 „
29) კალმახელიძე პავლე	1918 „

ამ კრებას შემოურთდენ ტყიბულის მაღაროებში არსებულ სოციალისტ რევოლიუციონერების პარტიის წევრები, რომლებმაც ილაპარაკეს ხსენებულ პარტიის სრულებით გაკოტრებაზე, აღიარეს კომუნისტურ პარტიის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯები მუშათა კლასის საკეთილდღეოთ აცხადებენ თავს თავის პარტიის რიგების გარეშე და აღუთქვამენ საბჭოთა ხელისუფლებას დაეხმარონ ყოველ მხრივ.

1) აბესაძე ივლიანე .	1918 წ.
2) ქარქაშაძე გედეონი .	1918 „
3) მიქაუტაძე ივანე . .	1918 „
4) ალფაიძე ვლადიმერ .	1920 „

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 95.

საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელთათვის ბოროტ-მოქმედებით მოპოვებული ქონების აღმოჩენისათვის ჯილდოს დაწესების შესახებ.

ბოროტ-მოქმედებასთან ნაყოფიერი ბრძოლისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს პროცენტული ანარიცხი ბოროტ-მოქმედებით მოპოვებულ და სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის მეშვეობით აღმოჩენილ ქონებიდან და შემოსული თანხებისაგან შედგენილ იქნეს განსაკუთრებული ფონდი.

2) რაოდენობა პროცენტისა, რომელიც აღმოჩენილი ქონების ღირებულებიდან უნდა გამოირიცხოს, განი აზღვრება: სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოოს, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციის ქონებისათვის—10 პროცენტით, ხოლო კერძო პირისა და საკომერციო ხასიათის კერძო შენაერთის ქონებისათვის 15 პროცენტით.

3. პროცენტული ანარიცხისაგან განთავისუფლებულია ოჯახში სახმარებელი პირველი საჭიროების საგნები და ისეთი ქონება, რომლის ღირებულებაც 50 ოქროს მანეთს არ აღემატება; შეიძლება აგრეთვე ამ ანარიცხისაგან განთავისუფლებულ იქნეს სხვა კატეგორიის ქონებაც, თვითეულ ცალკე შემთხვევაში ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების განსაკუთრებული დადგენილებით.

4. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის თანახმად შემდგარი ფონდის დანიშნულებაა—მიეცეს ჯილდო სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის თანამშრომელთ მოტ'ცებული ქონების აღმოჩენისათვის, ან დამნაშავის შეპყრობისათვის; ჯილდოს გაცემა უნდა მოხდეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილების განკარგულებით; თანამშრომელი დასაჯილდოვებლად უნდა წარადგინოს ტფილისში—სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის უფროსმა, ხოლო ადგილობრივ—ადგილობრივი მილიციის უფროსმა.

შენიშვნა: დადგენილება ეს ვრცელდება აგრეთვე იმ ქონებაზედაც, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა მაძიებელი მილიციის მეშვეობით უკვე აღმოჩენილია, მაგრამ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე პატრონს ჯერ არ დაჰბრუნებია.

5. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გამოსცეს ინსტრუქცია ქონების შეფასებისა და ჯილდოს გაცემის წესის შესახებ.

6. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. მაისის 15.
ტფილისი—სასახლე.

ცირკულიარი № 17.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის ყველა განყოფილებათ.

ახლი:—ყველა დამზღვევ კასებს.—

დამზღვევ კასებში დაზღვეულთა და მათი ოჯახის წევრებთათვის სამკურნალო და საექიმო-სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

რესპუბლიკის მასშტაბით სამკურნალო და საექიმო-სამედიცინო დახმარების [illegible] შესახებ არსებულ [illegible] 6-ე მუხ.-ის „ბ" [illegible] ჯანმრთელობის სახალხო [illegible] ა. | კ. შრ. სახ. კომ.-ის საქართვ. რწმუნებულის სამმართველო ადგენს:

1. ჯანმრთელობის განყოფილებებმა ადგილობრივად უფასოთ და თავის ანგარიშში დამზღვევ კასებში დაზღვეულებს და მათი ოჯახის წევრებს უნდა აღმოუჩინონ მთელი სამკურნალო და საექიმო-სამედიცინო დახმარება, თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებულ დაზღვეულთა სამკურნალო ქ | განყოფილების დებულებისა და ინსტრუქციისა.

2. ყველა დამზღვევ კასათ ევალებათ რეგულიარულად და ყოველ კვირეულათ „ზ" ფონდის მიხედვით გადარიცხონ ჯანმრთელობის განყოფილებათა სასარგებლოდ მთელი შემოსავლის მთლიანი ანარიცხი.

შენიშვნა: ფონდი „ზ" რესპუბლიკის სათადარიგო ფონდში შესატან 10 ანარიცხიდან თავისუფლდება.

3. დამზღვევ კასების მიერ „ზ" ფონდის მიხედვით ჯანმრთელობის განყოფილებათა სასარგებლოდ ანარიცხის გადარიცხვა უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელობის განყოფილებათა ძირითად საბიუჯეტო საშვალების დამატებით დოტაციათ, დაზღვეულთათვის საუკეთესო ტიპის და სახის საექიმო-სამედიცინო დახმარების მოწყობისათვის.

4. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაზღვეულთა სამკურნალო ქ | განყოფილებას წინადადება ეძლევა ამა დადგენილების გატარებისა და ადგილებზე საექიმო-სამედიცინო დახმარების მოწყობის შესახებ გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია, რომლისთვის უნდა იხელმძღვანელოს ამა დადგენილებით და უკანასკნელ გაუწიოს სათანადო ხელმძღვანელობა და მისცეს ინსტრუქცია.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი;
ბ. კუჭაიძე
ა | კ. შრ. სახ. კომ.-ის რწმუნებული საქართველოში: ა. იაშვილი.
16 მაისი 1923 წ.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარია ლუკას ასული, შვილები სერგო, გრიგოლი, ალექსანდრე და შალვა ცხომელიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გიგო ექვთიმეს ძე ცხომელიძე

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათ. გარდაცვალებულის ბინაზე (ბორჯომის ქ. № 12) დასაფლავება 18 მაისს დღის 3 საათზე.
(683—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დარო ივანეს ასული აბრამაშვილისა შვილებით და ცოლის ძმები იაგორ და მიხეილ ქემერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 მაისს გარდაიცვალა ალექსანდროვის საავადმყოფოში.

ზაქარია იოსების ძე
აბრამაშვილი

პანაშვიდი იმავე საავადმყოფოში პარასკევს 18 მაისს, საღამოს 6 საათზე გამოსვენება და დაკრძალვა მიცვალებულისა იმავე საავადმყოფოდან წმ ნდა ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზედ შაფათს, 19 მაისს დილის 10 საათზე.

სახელმწიფო
ოპერა
კრ. 378—1—1

დღეს, 18 მაისს,
ლოენგრინი
დასაწყისი სრულ 8 საათზე.

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი
ფოსტისა და მგზავრების გადასაზიდავად
მანგლისში ა. წ. 20 მაისიდან
აწყობს ნახევრად საბარგო
ავტომობილით „ფიატ"-ით
მიმოსვლას,
რომელიც დაიტევს 15 კაცს.
ავტომობილი თბილისიდან გავა ორჯერ კვირაში კვირაობით და ოთხშაბათობით.
დაბრუნდება იმავე დღეებში ნაშუადღევის 4 საათზე.
სამგზავრო ბილეთის წინასწარ შეძენა შეიძლება თბილისში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ოლღას ქ. № 3, სამუშაო დღეებში დილის 9 საათიდან 2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან საღამოს 6 საათამდე;
უქმე დღეებში კი დილის 9 საათიდან 11 საათამდე და მანგლისში და კოჯორში ერთი საათით ადრე ავტომობილის წამოსვლამდე.

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 382 ივანე რამიშვილის სახელობაზე გაცემული სახელმწიფო უნივ. არსებულ მუშათა ფაკულტეტიდან. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
(684—1—1)

წონისა და ზომის მთავარი პალატა
ამით აუწყებს ყველა იმათ, ვინც ვაჭრობს სიგრძის ზომით, რომ
დარიგება მეტრების, ნახევარ მეტრების და აგრეთვე მათი საანგარიშო თაბულების დაიწყება ა. წ. 25 მაისს,
რის შემდეგ რუსული ზომა გაუქმებული იქნება.
ამიტომ წონისა და ზომის მთავარი პალატა წინადადებას აძლევს ყველა სიგრძის ზომით მოვაჭრეებს დააჩქარონ რეგისტრაციაში გატარება 20 **მაისამდე,**
რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტრების დარიგების შემდეგ ყველა არშინით და არა მეტრებით მოვაჭრენი
მიცემული იქნებიან პასუხისგებაში
როგორც რეგისტრაციაზე არ გამოცხადებისათვის, ისე არა კანონიერი ზომით ვაჭრობისათვის.
მეტრების განაწილების წესრიგი ცალკე იქნება გამოცხადებული.
წონისა და ზომის მთავარი პალატის თავმჯდომარე ნ. კოჩლოშვილი.
(კრ. 393 1—1)